# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 24 აგვისტო 2001 №160 (1433) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო ფეხბურთისთვის ცარიელი ადგილია

მესამე გვერდზე იხილეთ ის, რაც დღეს არის ქართული ფეხბურთი




REUTERS მონაკოდან

წილისყრის „სპეციალისტებმა“ ჟან ფურნე ფაიარმა (მარცხნივ) და გერჰარდ აიგნერმა ლიგა დააჯგუფეს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ვინც თამაშობს და ვისაც უნდა...

*ოთხგუნდა რვა ჯგუფი, ფავორიტები, საშუალონი, აუტსაიდერები... მაგრამ იქნება ფეხბურთი, იქნება ბრძოლა, სიხარული, გულისტკენა...*

*გუშინ მონაკოში ის გუნდები შეიკრიბნენ, ვინც დიდი ხანია თამაშობს ფეხბურთს და ვინც ცდილობს, ითამაშოს ნამდვილი ფეხბურთი.*

*გუშინ მონაკოში ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის წილისყრა მოეწყო. კვალიფიკაცია და მისაღები გამოცდები დამთავრდა, სექტემბერში ჩემპიონთა ლიგა იწყება.*

იხილეთ მეექვსე გვერდი

# ქართველებმა თავი უკრაინელებთან გაიკონტროლეს

## ტრავმირებულ უგრეხელიძეს შესაძლოა თორთლაძე შეემატოს

გუშინ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ბულგარელებთან ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩის წინ საბოლოოდ გაიკონტროლა თავი: კიევში პორტუგალიიდან ორი დღის წინ დაბრუნებულ, ერთ კვირაში თურქეთში დასაწყებ ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ გამზადებულ უკრაინის ნაკრებს შეხვდა.

ქართველმა კალათბურთელებმა კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს, მთელი თამაშის მანძილზე მოლიდერენი ერთხანს 15 ქულასაც იღებდნენ, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ 80:74 (19:22, 15:19, 21:20, 25:13).

დავით თორთლაძეს თამაშისას სახეში იდაყვი მოხვდა და დარბაზიდან საავადმყოფოში წაიყვანეს. ჯერჯერობით უცნობია, დაეხმარება თუ არა იგი საქართველოს ნაკრებს.

დღეს გამთენიისას ჩვენებურები სოფიაში გაფრინდნენ, იქიდან იამბოლში ჩავლენ და ხვალ ბულგარელებს დაუპირისპირდებიან.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

უეფას თასი 2001-02. საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## ლოკომოტივი 1:1 ბირკირკარა

თბილისი. ლოკომოტივი. 6 000 (ტევადობა 25 600). 23 აგვისტო. 20 საათი
პირველი მატჩი 0:0

0:1 ზაჰრა (12), 1:1 ანჩაბაძე (86)

სალუქვაძემ ვერ გაიტანა პენალტი (30, მეკარე)

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, დავითნიძე (სირბილაძე 87), ქიქველიშვილი, გოგიჩაიშვილი, გილაური (დათვაძე 46), ჯანაშია (კაიდარაშვილი 62), ონიანი, ქორიძე, ანჩაბაძე
სათადარიგონი: იჟარდავა, ცხადაძე, ბაქრაძე, გოგნაძე
მწვრთნელი: კახა ცხადაძე

ბირკირკარა: სავიჩი, ბონიჩი (სიკლუნა 59), სპიტერი, ა. გალეა (ტელუსი 46), კამენზული, დრონგა, ბრინკატი, ზაჰრა, ნვოკო, კალასიონე, სუდა (კენეკი 88)
სათადარიგონი: დებონო, მ. გალეა, ვაისმანი
მწვრთნელი: ალფრედ კარდონა

გაფრთხილება: ბრინკატი (29), ქორიძე (57), სპიტერი (65), ზაჰრა (86), გოგიჩაიშვილი (87)

მსაჯები: ჩ. შააკი; ფ. ქრელო, გ. როლინგი; რ. იონსდორფი (ყველა ლუქსემბურგი)

უეფას დელეგატი: ლ. სიოტროპული (საბერძნეთი)

უეფას თასი 2001-02. საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## ბატე 4:0 დინამო

ბორისოვი. ცენტრალური. 5 000 (ტევადობა 5 500). 23 აგვისტო. 19 საათი
პირველი მატჩი 1:2

1:0 ლისოვსკი (22), 2:0 კუტუზოვი (44პ), 3:0 ლოშანკოვი (48), 4:0 გრიგორიევი (90)

ბატე: ფედოროვიჩი, როგოტკინი, ლისოვსკი (კონცევოი 64), ბაგა (პანასიუკი 46), მარდაში, კუტუზოვი, ლოშანკოვი, გორჩარიკი (გრიგორიევი 39), მოლოხი, ბეგანსკი, ალეშკევიჩი
მწვრთნელი: იური პუნტუსი

დინამო: გრიშიკაშვილი, სვანაძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე (კანდელაკი 46), ბურდული, დარასელია, ბობოხიძე, მანჯგავა (ბათიაშვილი 44), შავგულიძე (შალამბერიძე 46), ამისულაშვილი
მწვრთნელი: გივი ნოდია

გაფრთხილება: გონჩარიკი (16), ბაგა (22), მანჯგავა (34), შალამბერიძე (61), ბობოხიძე (84)

გაძევება: ბურდული (24), გრიშიკაშვილი (42)

მსაჯი: ჟონი ვერ ეეკე (ბელგია)


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბროტნიო — ვიკინგი. სტუმარი ჰანუ ტიჰინენი (მარცხნივ) და საველი მილენკო თავებით შეასკდნენ

## უეფას თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩები. 23 აგვისტო

UEFA CUP

**ნოვა გორიცა** (სლოვენია) 1:0 ნეფთჩი (აზერბაიჯანი) (0:0)
1:0 ტეზაჩკი (82)
სლიმა უონდერერსი (მალტა) 2:1 **პუხოვი** (სლოვაკეთი) (0:3)
1:0 ბუზუტილი (6), 1:1 პერნიჩი (57პ), 2:1 საიდი (78)
ბელშინა (ბელარუსი) 0:0 **რუჟომბეროკი** (სლოვაკეთი) (1:3)
ლანსანტფრეიდი (უელსი) 0:2 **პოლონია** (პოლონეთი) (0:4)
0:1 ბაკი (41), 0:2 ბარტჩაკი (53)
დინამო (ტირანა, ალბანეთი) 1:3 **დინამო** (ბუქარესტი, რუმინეთი) (0:1)
0:1 ნიკულესკუ (13), 0:2 მიჰალჩია (43), 0:3 კლაუდიუ (64), 1:3 დემბი (90)
იოკერიტი (ფინეთი) 0:2 **ცსკა** (კიევი, უკრაინა) (0:2)
0:1 ზაკარლიუკა (60), 0:2 კოსირინი (83)
მიკა (სომხეთი) 0:2 **ბრაშოვი** (რუმინეთი) (1:5)
0:1 შანდორი (38), 0:2 ბუგა (90)
**ჰაპოელი** (თელ ავივი, ისრაელი) 3:0 არარატი (სომხეთი) (2:0)
1:0 ოსტერცი (7), 2:0 დომბი (16), 3:0 უდი (90)
გი გოტუ (ფარერები) 1:1 **ობილიჩი** (იუგოსლავია) (0:4)
0:1 სიმონოვიჩი (19), 1:1 პ. იარნსკორი (33პ)
**სენტ გალენი** (შვეიცარია) 2:3 პელისტერი (მაკედონია) (2:0)
1:0, 2:0 განე (57, 61), 2:1 ტავესკი (65), 2:2 დელიოვსკი (72), 2:3 სტოიმენოვსკი (74)
**ოსიეკი** (ხორვატია) 1:0 დინაბურგი (ლატვია) (1:2)
1:0 ბალატინაცი (45)
**ელფსბორგი** (შვედეთი) 5:0 ტრანს ნარვა (ესტონეთი) (3:1)
1:0 ანდრეასონი (27), 2:0 ალექსანდერსონი (46), 3:0, 4:0 კლარსტრიომი (50, 54), 5:0 ანდრეასონი (80)
**ცსკა** (სოფია, ბულგარეთი) 3:1 შახტიორი (ბელარუსი) (2:1)
1:0, 2:0 მანჩევი (33, 62), 3:0 გილიო (66), 3:1 ბეზბოროდოვი (88)
**აპოლონი** (კვიპროსი) 3:1 ტირანა (ალბანეთი) (2:3)
0:1 ფორტუცი (24), 1:1 მისერდოვსკი (57), 2:1 კავაზისი (59), 3:1 სპოლიარიჩი (80)
ვენტსპილსი (ლატვია) 0:1 **ჰიკ** (ფინეთი) (1:2)
0:1 როია (9)
**რაპიდი** (ბუქარესტი, რუმინეთი) 8:0 ატლანტასი (ლიტვა) (4:0)
1:0 ნიტა (25), 2:0, 3:0 სიმუდიცა (29, 59პ), 4:0 შუმახერი (60), 5:0 ბოგდანოვიჩი (68), 6:0 ბრატუ (74), 7:0 ნიტა (82), 8:0 ბოგდანოვიჩი (89)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 0:4 **მიდტიულანდი** (დანია) (1:1)
0:1 სკუობო (13), 0:2 ფრომი (66), 0:3 სკუობო (83), 0:4 ბიმპონგი (86)
ბროტნიო (ბოსნია) 1:1 **ვიკინგი** (ნორვეგია) (0:1)
0:1 ტიჰინენი (29), 1:1 იერკოვიჩი (32)
დუნაფერი (უნგრეთი) 2:4 **ოლიმპიაკოსი** (კვიპროსი) (2:2)
0:1 კოზლეი (25), 0:2 რადოსავიევი (38), 1:2 სოვუნში (47), 1:3 თემისტოკლესი (58), 2:3 ტოკოლი (61), 2:4 არისტოტელოსი (63)
**ჰელსინგბორგი** (შვედეთი) 2:1 მიუპა (ფინეთი) (3:1)
0:1 პუჰაკაინენი (25), 1:1 პრიკა (44), 2:1 ეკლუნდი (82)
ჟალგირისი (ლიტვა) 0:1 **მაკაბი** (თელ ავივი, ისრაელი) (0:6)
0:1 გოლდბერგი (60)
**ლეგია** (პოლონეთი) 2:1 ეტელბრიუკი (ლუქსემბურგი) (4:0)
1:0 მეირელესკი (44), 1:1 ლევეკი (51), 2:1 კარვანი (73)
**ვარტექსი** (ხორვატია) 6:1 ვადუცი (ლიხტენშტაინი) (3:3)
1:0 მურნლევკი (9), 2:0 ბიელანოვიჩი (20), 3:0 ანდრიჩევიჩი (30), 3:1 მერენდა (50), 4:1, 5:1 დრობნი (71, 75), 6:1 რეეიჩი (86)
**გრაცერი** (ავსტრია) 4:0 ტორსჰავენი (ფარერები) (2:2)
1:0, 2:0 ბრუნმაირი (13, 35), 3:0 ტოკიჩი (70), 4:0 მილინკოვიჩი (89)
**გაზიანთეფსფორი** (თურქეთი) 4:1 ზიმბრუ (მოლდოვა) (0:0)
1:0 ტევე (3), 2:0 რომაშჩენკო (31), 2:1 ჩებოტარე (44), 3:1 ოზერი (62), 4:1 შაინთურქი (82)
აკრანესი (ისლანდია) 1:6 **ბრიუგე** (ბელგია) (0:4)
1:0 კარველსონი (30), 1:1 ნ. ლემბი (55), 1:2 ვან დერ ჰიდენი (65), 1:3 ენგელბერტი (66), 1:4 ვერჰეენი (76), 1:5 მენდოსა (83), 1:6 მარტენსი (89)
**სტანდარდი** (ბელგია) 3:1 ვარდარი (მაკედონია) (3:0)
1:0 ვალემი (68), 1:1 აბაზი (76), 2:1, 3:1 ლუკუნკუ (78, 88)
შაფა (აზერბაიჯანი) 0:3 **ოლიმპია** (სლოვენია) (0:4)
0:1 კოშიჩი (29), 0:2 კომაცი (70), 0:3 ჟოლიჩი (82)
ფლორა (ესტონეთი) 0:1 **დინამო** (ზაგრები, ხორვატია) (0:1)
0:1 ალასი (44ს.კ)
**ნისტრუ** (მოლდოვა) 1:0 დებრეცენი (უნგრეთი) (0:3)
1:0 სმაკოვი (55)
გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 0:2 **აეკ** (საბერძნეთი) (0:6)
0:1 ლაკისი (27), 0:2 კონსტანტინიდისი (88)
შელბურნი (ირლანდია) 0:3 **ბრონდბიუ** (დანია) (0:2)
0:1 ბაგერი (12), 0:2 იორგენსენი (54), 0:3 მადსენი (77)
**რაპიდი** (ვენა, ავსტრია) 2:0 კოსმოსი (სან მარინო) (1:0)
1:0, 2:0 ლაგონიკაკისი (29, 89)
**ლიტექსი** (ბულგარეთი) 2:0 ლონგფორდ თაუნი (ირლანდია) (1:1)
1:0, 2:0 იანკოვიჩი (89, 90)
**პარტიზანი** (იუგოსლავია) 7:1 სანტა კოლომა (ანდორა) (1:0)
1:0 ივიჩი (11), 2:0 დელიბასიჩი (22), 2:1 ფერნანდეს არიზა (38), 3:1 ივიჩი (60), 4:1 ბალიაკი (68), 5:1 ვუკოვიჩი (79), 6:1 ჩაკარი (87პ), 7:1 ილიევი (90)
**კილმარნოკი** (შოტლანდია) 1:0 გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) (1:0)
1:0 მიტჩელი (67)
პოგონი (პოლონეთი) 1:1 **ფილკირი** (ისლანდია) (1:2)
1:0 ქვიგალა (7), 1:1 იონსონი (90)
**სლოვანი** (სლოვაკეთი) 1:0 ქუიმბრან თაუნი (უელსი) (4:0)
1:0 მესაროში (80)
სარაევო (ბოსნია) 0:1 **მარიტიმუ** (პორტუგალია) (0:1)
0:1 მ. ფერეირა (90)



REUTERS

დინამო (ტირანა) — დინამო (ბუქარესტი). მასპინძელი ილირ ქორი ფლორინ პარვუს მართლა ქორივით დააცხრა



REUTERS

სტანდარდი — ვარდარი. ბელგიელი ალმადის მორეირა სტუმარ ალექსანდრ ბაჟევსკის გაექცა



REUTERS

სარაევო — მარიტიმუ. პორტუგალიელმა მარსელო პერეირამ მასპინძელთა კარისკენ ღონივრად დაჰკრა

## ინგლისი
პირველი დივიზიონი
III ტური
როტერჰემი 1:1 შეფილდ იუნაიტედი

## ფინეთი
XXVI ტური
ინტერი 1:0 ლაჰტი
როვანიემი 1:1 ტამპერე


# იყიდება
ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით.
დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე–19 კორპუსი,
პირველი სართული. ფასი შეთანხმებით
ტელ:
397 198. 959 032. 8 77 428283

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უნდა ყოფილიყო „ლოკომოტივ“ – „ბირკირკარას“ და ბატე – „დინამოს“ მატჩების მიმოხილვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღირსების შელახვად თვლის მოქალაქე მირიანაშვილთან პოლემიკას. მაგრამ, სამწუხაროდ, მოქალაქე მირიანაშვილი სახელმწიფო ჩინოვნიკია და, როგორც გაზეთშია აღნიშნული, კანცელარიის მრჩევლის თანამდებობა უჭირავს. ამ შემთხვევაში, სფფ-ს უფლება არა აქვს უყურადღებოდ დატოვოს მისი პრესკონფერენცია.

კატეგორიულად არ ვეთანხმები ზოგი ტელეკომპანიის შეფასებებს და საგაზეთო პუბლიკაციების სათაურებს, რომ სახელმწიფომ ახალი შეტევა დაიწყო სფფ-ს წინააღმდეგ.

დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტმა საერთოდ არ იცის იმ აბდაუბდის შესახებ, რომელსაც ავრცელებს კანცელარიის მრჩეველი.

მე არ ვიცი რომელ დარგში უწევს კონსულტაციას მოქალაქე მირიანაშვილი ქვეყნის მთავრობას, მაგრამ მინდა მჯეროდეს, რომ იმ დარგში იგი სპეციალისტია. თუმცა ალბათ არა, და მე ძალიან მეცოდება ის დარგი. ამიტომ ხომ არ იყო იგი გაძევებული მთავრობის ერთ-ერთი სხდომიდან?

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მირიანაშვილი სასურველს არსებულად ასაღებს. სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა დროს ბევრად უფრო ჭკვიან და ავტორიტეტულ ხალხს სურდა იმის მსგავსი რაღაცის გაკეთება, რაზედაც ის ოცნებობს. აქედან რაც გამოვიდა, თქვენთვისაც კარგადაა ცნობილი.

სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული ფედერაციის საქმეში ჩარევასთან დაკავშირებით, ფიფას ბოლო კონგრესზე, ბუენოს-აირესში, ფიფადან გარიცხეს ლიბანი და გვინეა. პრინციპში, ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, სულელები — საკუთარზე! ამ შემთხვევაში, საქმე აშკარად მეორე შემთხვევასთან გვაქვს.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია**

# ბრძოლა არსებობისთვის

## ფედერაციას სიტუაცია ეცნობა: დირიჟორმა ჯოხი აიქნია

**ვალერი ჩოლარიას** ხელმოწერილი ეს განცხადება გუშინ სფფ-ის პრესსამსახურმა გაავრცელა.

შეგახსენებთ, ოთხშაბათს სახელმწიფო კანცელარიაში პრესკონფერენცია გამართა პრეზიდენტის მრჩეველმა თემურ მირიანაშვილმა, რომელმაც ერთობ სკანდალური განცხადება გააკეთა. მირიანაშვილის თქმით, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ფეხბურთს ხელისუფლება უპატრონებს და რომელიმე სახელმწიფო ჩინოსანი შეთავსებით სფფ-ის პრეზიდენტი გახდება.

ამასთან დაკავშირებით გუშინ სფფ-ის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას ვესაუბრეთ.

— ფაქტია, რომ ვიღაც გვებრძვის. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან სფფ-ის ყრილობა და პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდება. შესაბამისად ინტრიგებიც მოსალოდნელია. ეს პროცესი ჯერ კიდევ მარტში დაიწყო, როდესაც ზედ ოფიციალური მატჩის წინ ჩვენ საბანკო ანგარიშს ყადაღა დაადეს. ფაქტია, არსებობს დირიჟორი, რომელიც მიზანმიმართულად მოქმედებს ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ არა მგონია, ის, რაც მირიანაშვილმა განაცხადა, სახელმწიფოს პოზიცია იყოს. მთავრობა ამაზე არ წავა. თუ რაიმე მოსაზრება აქვთ, პირველი ჩვენ დაგველაპარაკებოდნენ. აქედან გამომდინარე, მირიანაშვილს უფლება არა აქვს, სახელმწიფოს სახელით პრესკონფერენციები მოიწვიოს და სკანდალური, დაუსაბუთებელი განცხადებები აკეთოს.



ვალერი ჩოლარია

**— თქვით, რომ გვებრძვიანო, რა ძალა გებრძვით?**

— კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი. მირიანაშვილმა რამდენიმე გვარი ჩამოთვალა. კი, ბატონო, დააყენონ მათ თავიანთი კანდიდატურები და მიიღონ სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა. ოღონდ ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს, პრეზიდენტობა შეუძლია მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სფფ-ის სუბიექტებად ითვლებიან.

**— მირიანაშვილის თქმით, იუსტიციის სამინისტრო ახალ კანონს მიიღებს, რის თანახმადაც ყრილობა განსხვავებული რეგლამენტით ჩატარდება.**

— ასეთი რამ გამორიცხულია. სფფ დღემდე მუშაობს იმ კონტექსტში, რომ წინააღმდეგობაში არ მოვხვდეთ სახელმწიფო კანონმდებლობასთან. უმთავრესი კი ის არის, რომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ფიფა-უეფას კანონებს ვემორჩილებით.

**— სფფ-ის მეხუთე ყრილობა როდის ჩატარდება?**

— 2002 წლის თებერვლის ბოლოს გაიმართება აღმასკომის სხდომა, სადაც დამტკიცდება არჩევნების რეგლამენტი და დაინიშნება ყრილობის ჩატარების კონკრეტული ვადა. ერთი რამის თქმა ზუსტად შემიძლია — ყრილობისთვის სექტემბრიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე ერთ-ერთ დღეს ავირჩევთ.

**— მერაბ ჟორდანია ისევ წარადგენს თავის კანდიდატურას პრეზიდენტობაზე?**

— აუცილებლად. ნომერ პირველი კანდიდატი ჟორდანია იქნება.

**— ვთქვათ, ედუარდ შევარდნაძემ მართლაც მოაწერა დადგენილებას ხელი და ფეხბურთი ხელისუფლებამ ჩაიბარა...**

— ასეთი რამ არ მოხდება. პრეზიდენტი არ მიიღებს ასეთ დადგენილებას. ის ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი დიპლომატია და ასეთ შეცდომას არ დაუშვებს.

**ბაათა ძვანტალიანი**



„მანჩესტერის" ბურჯები: როი კინი (მარცხნივ) და ხუან სებასტიან ვერონი

REUTERS ფოტო

# ბექემის დუბლი

## ვიდრე მსაჯი დაუსტვენდა

### ინგლისი

**პრემიერლიგა. II ტური**

**ბლექბერნი 2:2 მანჩესტერ იუნ.**

0:1 გიგზი (20), 1:1 ბექემი (49ს.კ.), 2:1 გილესპი (65), 2:2 ბექემი (78)

ბლექბერნი: ფრიდელი, კერტისი, ბიორნებიუ, შორტი, ბერგი, ფლიტკროფტი, გილესპი (მონეტი 89), დაფი, მაჰონი, გრაბი (ნ. ბლეიქი 74), იანსენი (მ. ტეილორი 78)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, ირვინი (გ. ნევილი 69), სილვესტრი, უ. ბრაუნი, იონსენი, როი კინი, ბექემი, გიგზი, ვერონი, სქოულზი (იორკი 74), ვან ნისტელროი (ენდი კოული 74)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: შორტი, ფლიკროფტი, სილვესტრი, შორტი

გაძევება: შორტი (77)

მსაჯი: ა. უილი

29 836 მაყურებელი

**ფულემი 2:0 სანდერლენდი**

1:0 შეილსი (70), 2:0 საჰა (85)

ფულემი: ვან დერ სარი, ბრევეტი (ჰარლი 65), მელვილი, გომა, ფინანი, კოლინზი, მალბრანკი, გოლდბეკი, შ. დევისი, ჰაილსი, საჰა

მწვრთნელი: ჟან ტიგანა

სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, გრეი, კრადოკი, მაკკარტნი, შვარცი (ბელიონი 76), გევინ მაკკენი, კილბეინი, ჰათჩისონი, ფილიპსი, ლასლანდი (ნ. ქუინი 71)

მწვრთნელი: პიტერ რიდი

გაფრთხილება: მაკკარტნი, კრადოკი

მსაჯი: მ. დინი

20 197 მაყურებელი

**პრემიერლიგის** მეორე ტურის მესამე დღეს ორი მატჩი იყო: ბლექბერნის „ვუდ პარკს" სტუმრობდა ჩემპიონი „მანჩესტერი", „კრეივენ კოტეჯზე" კი „ფულემს" პირველი საშინაო მატჩი ჰქონდა „სანდერლენდთან".

ბლექბერნში დიდი ამბები დატრიალდა. იქ მიმდინარე თამაშის შემხედვარეს გაგიკვირდებოდა, როგორ წააგო „როვერსმა" „დერბი ქაუნთისთან". თუმცა, ფეხბურთი ხომ დემოკრატიული თამაშია.

ამ შეხვედრაში ბურთი ოთხჯერ მოხვდა ძელს: სტუმართაგან პოლ სქოულზმა და დევიდ ბექემმა (საჯარიმო დარტყმიდან) მოახერხეს ეს, მასპინძელთაგან აგრესიულმა იტალიელმა კორადო გრაბიმ და ძველმა მანჩესტერელმა ჰენინგ ბერგმა. გრაბის პირველ წუთზევე შეეძლო სტუმართა კარის აღება და კიდევ ორი საგოლე მომენტიც ჰქონდა მეორე ტაიმში, რაც ფაბიენ ბარტეზის უთავბოლო ციგნობამ გამოიწვია.

„მანჩესტერმა" ზღაპრულად ჩაატარა პირველი ტაიმი: თუ თამაშის დასაწყისს არ ჩავთვლით, მასპინძლებმა ბურთი ფეხებში ვეღარ მოიგდეს და აჰყვნენ სტუმართა მიერ უმაღლეს ტემპში წამოწყებულ „პამპულობანას", რაც პირველებს სწრაფ სიკვდილს უქადდა. თუმცა, გოლი მხოლოდ ერთხელ გავიდა — საუცხოოდ მოთამაშე ხუან სებასტიან ვერონმა არაჩვეულებრივი გამჭოლი პასით გაიყვანა საჯარიმოში რაიან გიგზი და ამ უკანასკნელმაც მოხდენილი დარტყმით გახსნა ანგარიში. ვერონმა მშვენივრად ითამაშა ამ შეხვედრაში და როი კინთან შესაშური შეთამაშება გამოამჟღავნა. ეს წყვილი ძალიან სახიფათო იყო.

თუმცა, დაიწყო მეორე ტაიმი და თითქოს ყურებჩამოყრილმა „ბლექბერნმა" სტუმართა საჯარიმოსთან გადაინაცვლა. „იუნაიტედი" არ ელოდა ამგვარ აგრესიას და თავზეხელაღებულობას. არ ელოდა და დაისაჯა კიდეც. მარჯვენა ფრთიდან მოჭრილ საჯარიმო დარტყმას გზად ბექემის კეფა დაუხვდა და ბურთი ბარტეზის კარში აღმოჩნდა. ამან კიდევ უფრო [illegible] მასპინძლები, განსაკუთრებით კი მათი მარჯვენა ფრთის ჩრდილოირლანდიელი კიტ გილესპი, ერთ დროს „ნიუკასლის" ვარსკვლავი, მერე დუქნების ლომი, შარშან ამ დროს მეორე ლიგაში მოთამაშე უნიჭიერესი ფეხბურთელი, რომელმაც ფლანგზე მიკაელ სილვესტრი ჩამოიცილა, შუისკენ შემოიჭრა და ნახევრად წაქცეულმა ახლო ცხრიანში ჩააჭედა ბურთი — 2:1.

აქვე ავღნიშნავთ, რომ „მანჩესტერის" ისტორიაში პირველად იყო, რომ იაპ სტამს ტრამვა არ ჰქონდა და მაინც არ იდგა ძირითადში.

ამას მოჰყვა ალექს ფერგიუსონის ორმაგი შეცვლა და იორკ-კოულის გამოჩენა. თუმცა, „მანჩესტერმა" ეგრეც ვეღარ ააწყო ჩვეული შემტევი მექანიზმი. მხსნელი ბექემი გამოდგა: კრეიგ შორტმა საჯარიმოდან ექვსიოდ მეტრში დუაიტ იორკი მოცელა და მეორე ყვითელით მოედანი დატოვა. იმ არეულობაში და დავაში, ბექემმა, ისევე როგორც წინა დღით იან ჰარტმა „ჰაიბერიზე", კედლის აღმართვა არ აცალა მასპინძლებს და ბურთი დაუცველ კარში ჩაუშვა. თურმე მსაჯს არ ეთქვა „ელოდეთ სასტვენს" და 2:2.

ფერგიუსონმა რისხვა დაატეხა თავის ფეხბურთელებს, ბლექბერნის მწვრთნელმა გრემ სუნესმა კი — მსაჯს. ამასობაში „კრეივენ კოტეჯზე" ორმხრივ ღია თამაშში თავისი პირველი პრემიერლიგური გამარჯვება მოიპოვა „ფულემმა", რომელმაც „სანდერლენდს" ორი მშრალი გოლით სძლია. ლუი საჰამ ამჯერადაც გაიტანა თავისი გოლი და პრემიერლიგის მეგოლეთა სიას ჩაუდგა სათავეში. კევინ ფილიპსს კი ორი ნალდი აუცდა.

ასე რომ...

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ლიდსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ევერტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| ფულემი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| იფსვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| დერბი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| სანდერლენდი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ტოტენჰემი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ჩელსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნიუკასლი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ასტონ ვილა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბლექბერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ვესტ ჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჩარლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| საუთჰემპტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ლესტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |
| მიდლსბრო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

### ესპანეთი

**სუპერთასი. მეორე მატჩი**

**რეალი 3:0 სარაგოსა (1:1)**

1:0, 2:0, 3:0 რაული (72, 80, 89)

რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი (სოლარი 84), იერო, კარანკა, მაკელელე, ფლავიო კონსეისაო, ფიგუ, ზიდანი (სავიო 71), რაული, მორიენტესი (გუტი 65)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

სარაგოსა: ლაინესი, აგუადო, სუნდგრენი, პაკო ხემესი, ესკურდინია, არაგონი (იორდი 72), მარტინ ველისკა (ხუანელე 79), ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი, გალეტი (კუარტერო 59)

მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო

გაფრთხილება: სუნდგრენი, გალეტი, მორიენტესი, ხოსე იგნასიო

მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი

70 000 მაყურებელი

**ასე და ამგვარად,** მადრიდის „რეალი" ესპანეთის სუპერთასის ექვსგზის მფლობელია — ჩემპიონმა თასის მფლობელ „სარაგოსას" საპასუხო შეხვედრაში 3:0 მოუგო. პირველი დაპირისპირების ანგარიში 1:1 გახლდათ.

საპასუხო მატჩის სამივე გოლი რაულმა შეაგდო, თუმცა, სარაგოსელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 73-ე წუთამდე ტაბლოზე 0:0 ეწერა. მადრიდელთა გამარჯვების სულისჩამდგმელად კი, საყოველთაოდ, ლუიშ ფიგუ აღიარეს, რადგან პირველ და მეორე გოლებში მიიღო მონაწილეობა.

პირველი ასე გავიდა: ფიგუმ მარჯვნიდან კუთხური ჩააწოდა, ბურთს ფერნანდო იერო შეწვდა, ხოლო საბოლოოდ, რაულმა იყოჩაღა ახლოდან.

ამ გოლიდან რვა წუთის შემდეგ მარჯვენა ფრთაზე ისევ ფიგუმ გაინავარდა და ჩააწოდა, სადაც ისევ რაულმა გამოიჩინა თავი.

მესამე, საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე გავიდა. სანტიაგო სოლარიმ საჯარიმოს ოდნავ შიგნიდან ძლიერად დაარტყა, ხოლო „სარაგოსას" მეკარემ, სეზარ ლაინესმა ვერ შეამაგრა, ბურთი რაულს ეახლა და მანაც არ გაუშვა მორიგი შანსი ხელიდან.

და ზიდანი? — იკითხავს მკითხველი. ზიდანი ამ დროს გამოცვლილი იყო. მის მაგივრად მოედანზე ბრაზილიელი სავიო ილვწოდა.

შეცვლამდე — ამაგს ნუ დავუკარგავთ — ფრანგმა მადრიდელთა თამაშის მართვას მონდომება არ დააკლო, მაგრამ ბურთმა „სარაგოსას" კარის ხაზის გადაკვეთა მხოლოდ მოედნიდან მისი გასვლის მერეღა ისურვა.

**ბაბუნა ძიძია**



სუპერლუზების სუპერთასი

REUTERS ფოტო



REUTERS დორტმუნდიდან

დორტმუნდი — შახტარი. დორტმუნდელთა ახმახმა ჩეხმა იან კოლერმა (№8) დონეცკელებს ორჯერ უთავაზა

# ჯანაშიასავით, ოღონდ ებრაულად ცუდი შოტლანდიელები

## ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. მეორე მატჩები

**ლევსკი** (ბულგარეთი) 1:1 ***გალათასარაი (თურქეთი)*** (1:2)
0:1 სერქანი (49), 1:1 პანტელიჩი (79)

***სელტიკი (შოტლანდია)*** 0:1 **აიაქსი** (ჰოლანდია) (3:1)
0:1 ვამბერტო (29)

***ანდერლეხტი (ბელგია)*** 1:1 **ჰალმსტადი** (შვედეთი) (3:2)
0:1 ტ. იონსონი (11), 1:1 დე ბოეკი (82)

**გრასჰოპერი** (შვეიცარია) 2:3 ***პორტუ (პორტუგალია)*** (2:2)
0:1 კრუზი (13), 0:2 ნუნუ კაპუშუ (43), 1:2 პეტრიჩი (77), 1:3 დეკო სოუზა (79), 2:3 შაპუიზა (86)

***ფენერბაჰჩე (თურქეთი)*** 2:1 **გლაზგო რეინჯერსი** (შოტლანდია) (0:0)
1:0 რევივო (3), 2:0 აქანი (71), 2:1 რიკსენი (73)

***რუსენბორგი (ნორვეგია)*** 4:0 **ინტერი** (ბრატისლავა, სლოვაკეთი) (3:3)
1:0 ფ. იონსენი (11), 2:0 რუშფელდტი (15), 3:0 სკამელსრუდი (42), 4:0 სტრანდი (84)

***პანათინაიკოსი (საბერძნეთი)*** 1:0 **სლავია** (პრაღა, ჩეხეთი) (2:1)
1:0 ბასინასი (26)

***ლილი (საფრანგეთი)*** 0:1 **პარმა** (იტალია) (2:0)
0:1 სენსინი (26)

***დორტმუნდი (გერმანია)*** 3:1 **შახტარი** (უკრაინა) (2:0)
0:1 აგაოვა (7), 1:1 იან კოლერი (49), 2:1 ამოროზო (64), 3:1 იან კოლერი (68)

**ტიროლი** (ავსტრია) 0:1 ***ლოკომოტივი (რუსეთი)*** (1:3)
0:1 მამინოვი (61)



REUTERS ლილიდან

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა „ლილი“ ლიგაში შეიყვანა

განა რაიმე მოულოდნელი მოხდა? არც არაფერი. ლიგაში ისინი მოხვდნენ, ვინც ამას იმსახურებდნენ. ისე, გულდასაწყვეტი კია, თურქეთს და რუსეთს ევროლიგაში ორ-ორი გუნდი ჰყავდეთ, ქართველებს კი უკვე მერამდენე წელიწადია არცერთი...

თუმცა, ქართული გუნდი კი არა, ცალკეულ ქართველებსაც აღარ ათამაშებენ. აი, მაგალითად, უჯანაშიო მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ავსტრიაშიც მოუგო „ტიროლს“. თამაშის გმირი რკინიგზელთა მეკარე რუსლან ნიგმატულინი გახდა. მან უშეცდომოდ ჩაატარა მატჩი და ორივე გუნდის მწვრთნელების აზრით, შეხვედრის ბედიც გადაწყვიტა.

კურტ იარას, ახლო წარსულში ავსტრიის ნაკრების ჩინებულ ფორვარდს, დღეს კი ინსბრუკელთა ჭაღარა დამრიგებელს, მიაჩნია, რომ მისმა ბიჭებმა რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს: „თუნდაც ოთხი საათი გვეთამაშა, რუსების მეკარე მაინც ყველა ბურთს მოიგერიებდა, ამიტომ ჩემს თავდამსხმელებს ვერაფერს ვუსაყვედურებ“ — აღიარა იარამ.

მოკლედ, „ლოკომოტივი“, შარშანდელისგან განსხვავებით, უფრო იღბლიანად გაისარჯა და ლიგაში მოხვდა, გოლის გამტანმა მამინოვმა კი თავისი საქმე ოსტატურად შეასრულა.

თუმცა „ტიროლმა“ უეფაში პროტესტი შეიტანა. რატომ? იმიტომ, რომ ჰოლანდიელმა მარიო ვან დერ ენდემ რკინიგზელ რუსლან პიმენოვს ორჯერ უჩვენა ყვითელი, მოედნიდან კი არ გააძევა. საქმე ისაა, რომ ოქმში მეორე გაფრთხილება ვლადიმირ მამინოვზეა ჩაწერილი, თუმცა ვიდეოჩანაწერში კარგად ჩანს, რომ მსაჯმა ყვითელი ორივეჯერ პიმენოვს უჩვენა. ავსტრიელებიც ამად ჩივიან...

თამაშის წინ „შახტარის“ მწვრთნელმა ვიქტორ პროკოპენკომ ხუმრობით თქვა, ჩვენთვის 3:1 კარგი ანგარიში იქნებაო. ახლა წარმოიდგინეთ, რა ხასიათზე იქნებოდა „დორტმუნდის“ მთავარი მწვრთნელი მათიას ზამერი, როცა სტუმრებმა უკვე მეშვიდე წუთზე გაიტანეს. მაგრამ შესვენების მერე დორტმუნდელებმა კარგად აჩვენეს, რისი მაქნისებიც არიან. გადამწყვეტი 49-ე წუთი აღმოჩნდა, როცა ახმახმა ჩეხმა იან კოლერმა თავისი თანამემამულე ტომაშ როსიცკის პასს ოსტატური თავური დაუხვედრა. მერე ბრაზილიური კომბინაციაც გათამაშდა, დედე ამოროზის მეცადინეობა მეორე გოლით დამთავრდა. მალევე ისევ კოლერმა ხარიხიდან გამოვარდნილ ბურთს თავი შეაგება და მესამე გაიტანა.

„ბაიერნის“, „შალკესა“ და „ლევერკუზენის“ მერე „დორტმუნდი“ მეოთხე გერმანული გუნდი გახდა ლიგაში რომ ითამაშებს.

თავისებური მოულოდნელობა მოახდინა ფრანგულმა „ლილმა“, უსახელო გუნდმა, რომელიც წელიწადნახევრის წინ ჯერ კიდევ საფრანგეთის მეორე დივიზიონში თამაშობდა. „ლილმა“ ლიგიდან იტალიური „პარმა“ მოისროლა. პირველი მატჩი ფრანგებს 2:0 ჰქონდათ მოგებული, შინ კი, როცა ყოფილმა ლაციოელმა, არგენტინელმა რობერტო ნესტორ სენსინიმ გაუტანა, თითქოს წონასწორობის აღდგენასაც აღარაფერი უკლდა, მაგრამ... მაგრამ „ლილი“ ლიგაშია. მათი მწვრთნელი, ოთხმოციანი წლების ჩინებული იუგოსლაველი ფეხბურთელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი კი ბოხოლა ევროპული კლუბების სამიზნე გახდა: „პარმაში უკეთ ვითამაშეთ, ახლა კი პირველ ტაიმში ცუდად ვირჯებოდით. საბედნიეროდ, მერე თამაში დავალაგეთ და საწადელი ავისრულეთ, მიმაჩნია, რომ გუნდმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და მეც დიდებული საჩუქარი მომიძღვნა. ახლა კი, ლიგის ჯგუფური ტურნირის დაწყების წინ შემადგენლობის გაძლიერებაზეც უნდა ვიფიქროთ“ — თქვა ბოსნიელმა სპეციალისტმა.

სხვა ამბებიდან საინტერესოა, რომ „პორტუ“ მაინც გაძვრა ლიგაში, ხოლო თურქებს რუსებივით კვლავ ორი გუნდი ეყოლებათ ელიტაში. „ფენერბაჰჩე“ მესამე თურქული კლუბია, ჩემპიონთა შორის რომ დადგება. „ლურჯყვითელმა“ „ფენერმა“ გზიდან ექსტრავაგანტული „რეინჯერსი“ ჩამოიცილა. პირველი გოლი სტუმრებს ებრაელმა რევივომ გაუტანა და სიხარული ჯანაშიასეული მალაყით გამოხატა. მერე ამას აქანის მეორეც მოჰყვა და რიკსენის ერთ საპასუხოს აღარაფერი შეუცვლია.

ამ თამაშისას ერთი საინტერესო ამბავიც მოხდა. ამბავი, რომელიც მხოლოდ თურქებსა და შოტლანდიელებს შეიძლება მოუვიდეთ. ერთ ეპიზოდში, „ფენერის“ ფეხბურთელი დაშავდა, თურქებმა ბურთი აუტში გადააგდეს. წესით, მოწინააღმდეგეს საპასუხო ჟესტი უნდა გაეკეთებინა და ბურთი მასპინძლებისთვის დაებრუნებინათ, მაგრამ შოტლანდიელებმა თამაში გააგრძელეს და ტრიბუნების დიდი უკმაყოფილებაც მოიმკეს.

მაგრამ რა. რა და, ლიგაში მაინც ყველა ღირსეული მოხვდა.

**სოლომონ გულისაშვილი**



REUTERS სტამბოლიდან

ფენერბაჰჩე — რეინჯერსი. თურქებმა შოტლანდიელები შინ კუდამოძუებულნი გაუშვეს

## ჰოლანდია

KNVB

### I დივიზიონი. II ტური

**პსვ ეინდჰოვენი 3:2 დენ ბოსხი**
0:1 მელიზრაჯი (40), 1:1 კეჟმანი (45), 1:2 [illegible] (53), 2:2 ბრუგინკი (71), 3:2 ვან ბომელი (84)
პსვ ეინდჰოვენი: [illegible], ბრუგინკი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
31 000 მაყურებელი

**როდა 0:2 ფეიენოორდი**
0:1, 0:2 ვან პოიდონკი (27, 87)

**გრონინგენი 1:0 ტილბურგი**
1:0 სხონმაკერსი (21)

**ნაიმეგენი 1:0 ვალვაიკი**
1:0 ხრისტოვი (30)

**სპარტა 3:1 უტრეხტი**
1:0 ბუჩიბა (31), 2:0 ბუხარი (48), 2:1 ტანგე (87), 3:1 ბუხარი (90)

**ვიტესი 1:0 ალკმაარი**
1:0 მუსტაფა (49)

**სიტარდი 2:1 გრააფსხაპი**
1:0 გეროძენი (23), 2:0 ვან დიერენი (42), 2:1 შულპი (76)

**ბრედა 3:3 ტვენტე**
1:0, 2:0 სტიუარტი (26, 63), 2:1 ჰოუვინგი (64), 2:2 ბუთი (71), 3:2 ჰერსი (73), 3:3 ჰოუვინგი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:0 | 6 |
| პსვ | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ბრედა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ტვენტე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| გრონინგენი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სიტარდი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ვიტესი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| გრააფსხაპი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ტილბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ნაიმეგენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| სპარტა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| აიაქსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჰერენვენი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| დენ ბოსხი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| როდა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ვალვაიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| უტრეხტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ალკმაარი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## შვედეთი

### XVIII ტური

**მალმიო 2:1 იორგრიტე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 18 | 10 | 5 | 3 | 28:16 | 35 |
| იურგორდენი | 18 | 9 | 5 | 4 | 22:17 | 32 |
| გიოტებორგი | 18 | 8 | 6 | 4 | 30:23 | 30 |
| მალმიო | 18 | 8 | 3 | 7 | 30:26 | 27 |
| აიკ | 18 | 7 | 6 | 5 | 25:21 | 27 |
| ჰალმსტადი | 18 | 7 | 5 | 6 | 36:23 | 26 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 6 | 8 | 4 | 28:23 | 26 |
| იორგრიტე | 18 | 6 | 7 | 5 | 24:22 | 25 |
| იორებრო | 18 | 5 | 9 | 4 | 33:30 | 24 |
| ელფსბორგი | 18 | 6 | 4 | 8 | 26:33 | 22 |
| ნორჩიოპინგი | 18 | 5 | 5 | 8 | 21:31 | 20 |
| ჰეკენი | 18 | 4 | 6 | 8 | 22:26 | 18 |
| სუნდსვალი | 18 | 3 | 5 | 10 | 15:29 | 14 |
| ტრელებორგი | 18 | 3 | 4 | 11 | 21:41 | 13 |

## ლიტვა

გადადებული მატჩები: ეკრანასი — ვეტრა 1:0; დაინავა — კაუნასი 0:5; გელეჟინისი — ინკარასი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 25 | 19 | 4 | 2 | 59:7 | 61 |
| ატლანტასი | 24 | 15 | 6 | 3 | 47:21 | 51 |
| ჟალგირისი | 25 | 15 | 6 | 4 | 44:21 | 51 |
| ეკრანასი | 24 | 12 | 6 | 6 | 41:22 | 42 |
| ინკარასი | 25 | 9 | 8 | 8 | 38:29 | 35 |
| ნევეჟისი | 25 | 6 | 9 | 10 | 24:33 | 27 |
| გელეჟინისი | 25 | 7 | 4 | 14 | 29:41 | 25 |
| საკალასი | 25 | 4 | 8 | 13 | 20:47 | 20 |
| დაინავა | 25 | 5 | 2 | 18 | 24:73 | 17 |
| ვეტრა | 25 | 4 | 3 | 18 | 19:51 | 15 |


# იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა 90 კვ.მ. მიშენებით, დიღმის მასივში, მე-4-ე კვარტალი, მე-19-ე კორპუსი, პირველი სართული.

**ფასი შეთანხმებით**

ტელ.: 95-90-32, 39-71-98, 877 42-82-89



ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

**რეალი** მადრიდი. ესპანეთი

**რომა** რომი. იტალია

**ლოკომოტივი** მოსკოვი. რუსეთი

**ანდერლეხტი** ბრიუსელი. ბელგია

| | |
|---|---|
| 11.09 | რომა – რეალი; ლოკომოტივი – ანდერლეხტი |
| 19.09 | ანდერლეხტი – რომა; რეალი – ლოკომოტივი |
| 26.09 | რეალი – ანდერლეხტი; რომა – ლოკომოტივი |
| 16.10 | ანდერლეხტი – რეალი; ლოკომოტივი – რომა |
| 24.10 | რეალი – რომა; ანდერლეხტი – ლოკომოტივი |
| 30.10 | რომა – ანდერლეხტი; ლოკომოტივი – რეალი |

## B ჯგუფი

**ლივერპული** ინგლისი

**ბორუსია** დორტმუნდი. გერმანია

**დინამო** კიევი. უკრაინა

**ბოავიშტა** პორტუ. პორტუგალია

| | |
|---|---|
| 11.09 | ლივერპული – ბოავიშტა; დინამო – ბორუსია |
| 19.09 | ბორუსია – ლივერპული; ბოავიშტა – დინამო |
| 26.09 | ბოავიშტა – ბორუსია; ლივერპული – დინამო |
| 16.10 | ბორუსია – ბოავიშტა; დინამო – ლივერპული |
| 24.10 | ბოავიშტა – ლივერპული; ბორუსია – დინამო |
| 30.10 | ლივერპული – ბორუსია; დინამო – ბოავიშტა |

## C ჯგუფი

**არსენალი** ლონდონი. ინგლისი

**მალიორკა** ესპანეთი

**შალკე** გელზენკირხენი. გერმანია

**პანათინაიკოსი** ათენი. საბერძნეთი

| | |
|---|---|
| 11.09 | შალკე – პანათინაიკოსი; მალიორკა – არსენალი |
| 19.09 | არსენალი – შალკე; პანათინაიკოსი – მალიორკა |
| 26.09 | პანათინაიკოსი – არსენალი; შალკე – მალიორკა |
| 16.10 | არსენალი – პანათინაიკოსი; მალიორკა – შალკე |
| 24.10 | პანათინაიკოსი – შალკე; არსენალი – მალიორკა |
| 30.10 | შალკე – არსენალი; მალიორკა – პანათინაიკოსი |

## D ჯგუფი

**ლაციო** რომი. იტალია

**გალათასარაი** სტამბოლი. თურქეთი

**პსვ ეინდჰოვენი** ჰოლანდია

**ნანტი** საფრანგეთი

| | |
|---|---|
| 11.09 | ნანტი – პსვ ეინდჰოვენი; გალათასარაი – ლაციო |
| 19.09 | ლაციო – ნანტი; პსვ ეინდჰოვენი – გალათასარაი |
| 26.09 | პსვ ეინდჰოვენი – ლაციო; ნანტი – გალათასარაი |
| 16.10 | ლაციო – პსვ ეინდჰოვენი; გალათასარაი – ნანტი |
| 24.10 | პსვ ეინდჰოვენი – ნანტი; ლაციო – გალათასარაი |
| 30.10 | ნანტი – ლაციო; გალათასარაი – პსვ ეინდჰოვენი |

## E ჯგუფი

**იუვენტუსი** ტურინი. იტალია

**პორტუ** პორტუგალია

**რუსენბორგი** ტრონდჰეიმი. ნორვეგია

**სელტიკი** გლაზგო. შოტლანდია

| | |
|---|---|
| 12.09 | სელტიკი – რუსენბორგი; პორტუ – იუვენტუსი |
| 18.09 | იუვენტუსი – სელტიკი; რუსენბორგი – პორტუ |
| 25.09 | რუსენბორგი – იუვენტუსი; სელტიკი – პორტუ |
| 17.10 | იუვენტუსი – რუსენბორგი; პორტუ – სელტიკი |
| 23.10 | რუსენბორგი – სელტიკი; იუვენტუსი – პორტუ |
| 31.10 | სელტიკი – იუვენტუსი; პორტუ – რუსენბორგი |

## F ჯგუფი

**ბარსელონა** ესპანეთი

**ლიონი** საფრანგეთი

**ბაიერი** ლევერკუზენი. გერმანია

**ფენერბაჰჩე** სტამბოლი. თურქეთი

| | |
|---|---|
| 12.09 | ბაიერი – ფენერბაჰჩე; ბარსელონა – ლიონი |
| 18.09 | ლიონი – ბაიერი; ფენერბაჰჩე – ბარსელონა |
| 25.09 | ფენერბაჰჩე – ლიონი; ბაიერი – ბარსელონა |
| 17.10 | ლიონი – ფენერბაჰჩე; ბარსელონა – ბაიერი |
| 23.10 | ფენერბაჰჩე – ბაიერი; ლიონი – ბარსელონა |
| 31.10 | ბაიერი – ლიონი; ბარსელონა – ფენერბაჰჩე |

## G ჯგუფი

**მანჩესტერ იუნაიტედი** ინგლისი

**დეპორტივო** ლა კორუნია. ესპანეთი

**ოლიმპიაკოსი** პირეოსი. საბერძნეთი

**ლილი** საფრანგეთი

| | |
|---|---|
| 12.09 | ლილი – დეპორტივო; ოლიმპიაკოსი – მანჩესტერ იუნაიტედი |
| 18.09 | მანჩესტერ იუნაიტედი – ლილი; დეპორტივო – ოლიმპიაკოსი |
| 25.09 | დეპორტივო – მანჩესტერ იუნაიტედი; ლილი – ოლიმპიაკოსი |
| 17.10 | მანჩესტერ იუნაიტედი – დეპორტივო; ოლიმპიაკოსი – ლილი |
| 23.10 | დეპორტივო – ლილი; მანჩესტერ იუნაიტედი – ოლიმპიაკოსი |
| 31.10 | ლილი – მანჩესტერ იუნაიტედი; ოლიმპიაკოსი – დეპორტივო |

## H ჯგუფი

**ბაიერნი** მიუნხენი. გერმანია

**სპარტაკი** მოსკოვი. რუსეთი

**ფეიენოორდი** როტერდამი. ჰოლანდია

**სპარტა** პრაღა. ჩეხეთი

| | |
|---|---|
| 12.09 | სპარტა – სპარტაკი; ფეიენოორდი – ბაიერნი |
| 18.09 | ბაიერნი – სპარტა; სპარტაკი – ფეიენოორდი |
| 25.09 | სპარტაკი – ბაიერნი; სპარტა – ფეიენოორდი |
| 17.10 | ბაიერნი – სპარტაკი; ფეიენოორდი – სპარტა |
| 23.10 | სპარტაკი – სპარტა; ბაიერნი – ფეიენოორდი |
| 31.10 | სპარტა – ბაიერნი; ფეიენოორდი – სპარტაკი |

# ესპანეთის პრიმერადივიზიონი 2001-2002

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეატრალური აფიშა

## რეალი VS ბარსელონა

### კასტილია — კატალონია

**რაული ფიგუ ზიდანი** | **მარადიული შუღლი ესპანურ სცენაზე** | **რივალდო კლუივერტი სავიოლა**



წინა სეზონის რეალი — ბარსელონა. მადრიდელი ივან ელგერა (№6) და ბარსელონელი ფილიპ კოკუ

სამოცდამეთერთმეტე სეზონი იწყება. თუ გავიხსენებთ, წინა სეზონიც ამათი მატჩით დაიწყო, თუმცა მაშინ, სამოცდამეათე პრიმერადივიზიონის პირველ თამაშს „სანტიაგო ბერნაბეუმ" უმასპინძლა, თამაშის ადგილი მნიშვნელოვანი არაა, მთავარი ისაა, რომ შარშანდელ „რეალ" — „ვალენსიაში" პირველად გამოჩნდა ფიგუ-რაულის წყვილის ძალა. არანაკლები ინტრიგა, მეტი თუ არა, ხვალინდელ „ვალენსია" — „რეალსაც" აქვს, რაკი ფიგუს და რაულს ახლა ზინედინ ზიდანიც შეემატა.

ზიდანის რაულთან და ფიგუსთან დაძმობილება ადრევე მოხდა — „რეალმა" მათი მონაწილეობით რამდენიმე ამხანაგური მატჩი, ტურნირი და ესპანეთის სუპერთასის შეხვედრები გამართა. მაგრამ პრიმერადივიზიონი სხვაა. რა შემატა ფლორენტინო პერესს ზიდანის გადაყვანამ, სწორედ პრიმერადივიზიონში გამოჩნდება — ჰო, ჩემპიონთა ლიგაშიც.

პრიმერადივიზიონზე ლაპარაკი მადრიდის „რეალით" შემთხვევით არ დაგვიწყია. „რეალისა" და „ბარსელონას" გარეშე პრიმერადივიზიონზე და, საზოგადოდ, ესპანურ ფეხბურთზე ლაპარაკი ძნელია.

ამ სეზონში „რეალი" — „ბარსელონა" 4 ნოემბერს გაიმართება (შესაძლოა, ერთი დღით ადრე, რაც მოგვიანებით დაზუსტდება), ხოლო „ბარსელონა"-„რეალი" 17 მარტს. მაგრამ არც ისაა საიდუმლო, რომ ამ გუნდების დაპირისპირება მოედანზე გასვლამდე დიდი ხნით ადრე იწყება. ფაქტობრივად, ეს დაპირისპირება ასი წლის წინ მათი პირველი მატჩით დაიწყო, სამოცდაათი წლის წინ, პრიმერადივიზიონის პირველი სეზონით გაგრძელდა, რომელიც „ბარსელონამ" მოიგო, ხოლო „რეალი" მეორე ადგილზე დარჩა და პიკს წინა სეზონში მიაღწია — ცხადია, გარეალელებული ფიგუს ბარსელონაში ჩასვლის ამბავი არ დაგვიწყებიათ.



ყველაზე ძვირადღირებული სამეული: რაული, ფიგუ და ზიდანი

ის, რომ „რეალ"-„ბარსელონას" დაპირისპირება „სუპერკლასიკად" არის ქცეული, მხოლოდ ისტორიული ფაქტორებით არ არის გამოწვეული. აქ პოლიტიკაც ურევია. კატალონია, ესპანეთის უმდიდრესი რეგიონი მუდამ ცდილობდა კასტილიაზე — ისტორიულ ესპანეთზე თავისი უპირატესობის დამტკიცებას. ოღონდ, ბასკთაგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად იარაღზე იყურებიან, კატალონიელებს თვითდამკვიდრებისთვის სხვა მეთოდები აქვთ არჩეული და ერთი მათგანი ფეხბურთია, კატალონიური ფეხბურთი კი უპირველესად „ბარსელონაა". „ბარსელონა" დაახლოებით იგივეა, რაც საბჭოურ დროში თბილისის „დინამო", რომლის ძლიერებაზეც მთელი რესპუბლიკა ზრუნავდა და რომლის სანუკვარი მიზანიც მოსკოვური კლუბების დამარცხება იყო. კატალონიელთა მოსკოვი კი მადრიდია.

არსებობს ერთი მიზეზიც, რაც „რეალ" — „ბარსელონას" სხვათაგან გამოარჩევს. შესაძლოა, ეს მიზეზი მთავარიც იყოს. „რეალი" და „ბარსელონა" თავისი არსით დიდი კლუბებია. ყველა სხვა ესპანური კლუბი, რაგინდ დიდ წარმატებასაც უნდა აღწევდეს, პატარა კლუბებისთვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ განწყობას თავს ვერ აღწევს.

„ვალენსიას" მაგალითი გავიხსენოთ. ეს გუნდი ბოლო ორი სეზონია, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გადის. ეს იმგვარი შედეგია, რითაც ბარე ორი ევროპული გრანდი ვერ დაიკვეხნის. მაგრამ ამ დროს რა ხდება: ლიგის ფინალში პირველად გასვლის შემდეგ („რეალთან" 0:3) „ვალენსია" ყიდის კლაუდიო ლოპესს, მის სრულფასოვან შემცვლელს კი ვერ პოულობს — ვერც იონ კარეუ და ვერც ზლატკო ზაჰოვიჩი არგენტინელის შემცვლელებად ვერ გამოდგნენ. ლიგის ფინალში მეორედ გასვლის შემდეგ კი („ბაიერნთან" პენალტებით წაგებული ფინალი) „ვალენსია" გაისკა მენდიეტას ყიდის, ამბობენ, მენდიეტას შემცვლელი მიგელ ანხელ ანგულო გახდებაო, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, რომელიც ჯერ არ დადასტურებულა.



მოკლედ, „ვალენსია" ის გუნდია, რომელიც ყიდის და არ ყიდულობს. უფრო სწორად, ყიდის საუკეთესო ფორმაში მყოფ მსოფლიო დონის ვარსკვლავებს და ყიდულობს საშუალო დონის ფეხბურთელებს ან უკვე ჩამქრალ ვარსკვლავებს. ამგვარი სატრანსფერო პოლიტიკა კი პატარა კლუბებისთვისაა დამახასიათებელი.

ცხადია, ამგვარ სატრანსფერო პოლიტიკას სრულიად ლოგიკური ახსნაც აქვს. „ვალენსია", მისნაირი და უფრო პატარა კლუბები ფეხბურთელების აღზრდით და შემდგომში მათი სარფიანად გაყიდვით შოულობენ ფულს.

ძალიან ძნელია, გაუძლო ცდუნებას, როცა მენდიეტაში 42 მილიონ დოლარს გთავაზობენ.

„რეალის" და „ბარსელონას" სატრანსფერო პოლიტიკა კი ყიდვაზეა მომართული. მათ შეუძლიათ სასურველ ვარსკვლავში იმდენი გადაიხადონ, სხვა ოცნებასაც რომ ვერ გაბედავს.

„რეალს" და „ბარსელონას" იმგვარად ჰყავთ განებივრებული ქომაგები, რომ რომელიმე სეზონის ბოლოს ჯილდოს გარეშე თუ დარჩნენ, ტრაგედიად აღიქვამენ.

გვახსენდება, „ალავესი" უეფას თასის ფინალში გავიდა, იქ დამარცხდა, მაგრამ ვიტორიაში ხუთდღიანი ზეიმი გაიმართა, ხალხი ქუჩაში გამოეფინა, დუქნები კი ფასდაკლებით სთავაზობდნენ სასმელს. მადრიდში, ბარსელონაში ამგვარი რამ არასდროს მოხდება — აბა, რაა „რეალისთვის" და „ბარსელონასთვის" ფინალში გასვლა?! ამიტომაც, ამ გუნდებს ფეხბურთელების აღზრდისთვის დრო არა აქვთ. მათ მზა ვარსკვლავები სჭირდებათ, რომელთა ყიდვა რაც ღირს, კარგად მოგეხსენებათ.

ცხადია, ეს დანახარჯები ამართლებს, „რეალის" და „ბარსელონას" პრეზიდენტები ის ხალხი არაა, ფულის მოხვეჭა რომ არ იცოდნენ. თუმცა მათ სატრანსფერო პოლიტიკაში განსხვავებაც დიდია. ფლორენტინო პერესმა, „რეალის" მეთაურმა, კლუბის შოუ-ბიზნესის პრინციპებად მოწყობა განიზრახა. შოუ აფიშით იწყება. „რეალის" აფიშაზე კი ვკითხულობთ: ზიდანი, რაული, ფიგუ... აქედან ნათელია, რომ სპექტაკლს, რომელშიც ასეთი სახელიანი მქონე „მსახიობები" თამაშობენ, მაყურებელი არ მოაკლდება. მაგრამ ასეთი შემსრულებლების ყოლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „რეალი" უკლებლივ ყველაფერს მოიგებს. ამის ეჭვი უკვე გაჩნდა. ესპანური გაზეთები აჭრელებულია მასალებით, რომლებშიც მცოდნე ხალხი ამტკიცებს, „რეალმა" უბრალოდ არ იცის ერთბაშად ამდენი ვარსკვლავი როგორ გამოიყენოსო.

ოთხშაბათის „მარკაში" კი ეწერა: „ზიდანი, ფიგუ და რაული ერთ გუნდში მეტისმეტია". მაგრამ ერთხელაც გავიმეოროთ, რომ ყველაზე უიმედო პროგნოზის ახდენის შემთხვევაშიც მადრიდის „რეალს" მაყურებელი, რეკლამა და სატელევიზიო რეპორტაჟები არ მოაკლდება, ეს კი უზარმაზარი მოგებაა.

„ბარსელონაც" „რეალის" მსგავსად ყიდულობს, ოღონდ მის სატრანსფერო პოლიტიკაში თეატრალური ფაქტები ნაკლებადაა. კატალონიელთა საზაფხულო შენაძენებიდან უპირველესად ყმაწვილი არგენტინელი, ვუნდერკინდი ხავიერ სავიოლა უნდა გამოვარჩიოთ. ადრე არაერთხელ გვინახავს და აღგვინიშნავს კიდეც, თუ რაოდენ მრისხანე იყო რივალდო-კლუივერტის წყვილი. ახლა, სავიოლას დამატების შემდეგ, „ბარსამ" სულ მთლად თავგზა უნდა აუბნიოს ნებისმიერ მეტოქეს.

საინტერესო საინტერნეტო გამოკითხვა მოაწყო ამას წინათ „მარკამ". გაზეთმა გულშემატკივრებს ასეთი კითხვით მიმართა: რომელი უფრო ძლიერია, ზიდანი-რაული-ფიგუ თუ რივალდო-კლუივერტი-სავიოლა? გაზეთის მკითხველთა ორმოცდათოთხმეტმა პროცენტმა ბარსელონური სამეული ამჯობინა. აღვნიშნოთ, რომ „მარკა" მადრიდში გამოდის და მის მკითხველთა შორის „რეალის" ქომაგები ჭარბობენ.

საზოგადოდ, პრიმერადივიზიონი „რეალმა" ან „ბარსელონამ" თუ არ მოიგო, ყოველთვის მოულოდნელად აღიქმება, რაც გასაკვირი სულაც არაა. წინა სამოცდაათი სეზონიდან თითქმის ნახევარჯერ — ოცდათოთხმეტჯერ ჩემპიონობა ამათმა გაინაწილეს, ხოლო ისეთი შემთხვევა, რომ პირველ-მეორე ადგილებზე გასულთა შორის ისინი არ იყვნენ, სულ ათი იყო.



ახალი ტალღა ხავიერ სავიოლა და „ბარსელონას" ძველი გვარდია

საერთოდ კი ესპანეთის ჩემპიონები გამხდარან: „რეალი", „ბარსელონა", „ბილბაო", „ატლეტიკო", „სოსიედადი", „სევილია", „ბეტისი", „ვალენსია" და „დეპორტივო". აქვე აღვნიშნოთ, რომ მადრიდის „ატლეტიკომ" ჩემპიონის ტიტული ორჯერ „ავიასიონის" სახელით მოიპოვა, რომელსაც ორმოციან წლებში ატარებდა. იქამდე, 1936-39 წლებში ესპანეთის ჩემპიონი სამოქალაქო ომის გამო არ ტარდებოდა.

უმაღლეს დივიზიონში სულ სამოცდაერთ გუნდს უთამაშია. მათგან სამი ისეთია, რომლებიც პრიმერას მუდმივი წევრები არიან: „რეალი", „ბარსელონა" და ბილბაოს „ატლეტიკი". პრიმერას ამჟამინდელ ბინადართაგან აქ ყოფნის ყველაზე მცირე სტაჟი „ვილიარეალს" აქვს.

საინტერესოა, რომ ნახსენები სამოცდაერთი გუნდიდან ერთი აფრიკულიც იყო. თანამედროვე მაროკოს ტერიტორიაზე ესპანეთს რამდენიმე ქალაქი ეკუთვნოდა, რომელთა ორ გუნდს სეგუნდადივიზიონში უთამაშია, ხოლო პრიმერადივიზიონში ტანჟერის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქის გუნდი თამაშობდა, რომელსაც „ატლეტიკო" ერქვა.

1956 წლიდან ეს ტერიტორიები მაროკოს კუთვნილებაში გადავიდა და აფრიკული „ატლეტიკოც" დაიშალა.

**გიორგი დარჯანია**



# ესპანეთის პრიმერადივიზიონი
# 2001-2002 ყველა გუნდის განაცხადი

## რეალი (მადრიდი)

### მეკარეები
1 იკერ კასილიასი
13 სესარ სანჩესი
25 კარლოს სანჩესი

### მცველები
2 მიჩელ სალგადო
3 რობერტო კარლოსი
4 ფერნანდო იერო
12 ივან კამპო
15 ჯერემი ნჯიტაპი
18 აიტორ კარანკა
ოსკარ მინამბრესი

### ნახევარმცველები
5 ზინედინ ზიდანი
6 ივან ელგერა
8 სტივ მაკმანამანი
10 ლუიშ ფიგუ
11 სავიო ბორტოლინი
14 ხოსე მარია გუტი
16 ფლავიო კონსეისაო
20 ალბერტ სელადესი
21 სანტიაგო სოლარი
24 კლოდ მაკელელე
ბენიტო ალვარო

### თავდამხმელები
7 რაულ გონსალესი
9 ფერნანდო მორიენტესი
17 პედრო მუნიტისი
22 ალბერტო რივერა

მწვრთნელი
ვისენტე დელ ბოსკე

## მალიორკა

### მეკარეები
1 კარლოს როა
13 მიგელ გარო მიკი
25 ლეო ფრანკო
27 ალბერტო ჩიფუენტესი

### მცველები
2 ალეხანდრო კამპანო
3 მიგელ სოლერი
4 ფათიჰ აკიელი
5 ფერნანდო ნინიო
6 გუსტავო სივიერო
14 ხავიერ ოლაიზოლა
20 მიგელ ანხელ ნადალი

### ნახევარმცველები
10 არიელ იბაგასა
15 ფრანსისკო ჩიჩი სოლერი
18 მარტინ დე ლა ფუენტე
21 ვისენტე ფერნანდესი
22 ჯულიან გარსია რობლესი
23 ვისენტე ენგონგა
26 ალბერტო რიერა
28 მანუელ ვიალე
29 რობერტო მერინო
ადრიან ჯოკაი

### თავდამსხმელები
7 კარლოს დომინგესი
8 ლეონარდო ბიაჯინი
9 სამუელ ეტოო
11 ხოსე მიგელ ხოსემი
12 დანიელ გონსალეს გიუსა
16 ალვარო ნოვო
19 ალბერტო ლუკე

მწვრთნელი
ბერნდ კრაუსი

## ვალენსია

### მეკარეები
1 სანტიაგო კანისარესი
13 ანდრეს პალოპი
ხორხე ბარტუალი

### მცველები
2 მაურისიო პელეგრინო
3 ფაბიო აურელიო
4 რობერტო ფაბიან აიალა
5 მიროსლავ ჯუკიჩი
15 ამადეო კარბონი
20 ჟოსელინ ანგლომა
23 ემილიო კურო ტორესი
25 კარლოს მარჩენა

### ნახევარმცველები
6 დავიდ ალბელდა
8 რუბენ ბარახა
10 მიგელ ანხელ ანგულო
14 ვისენტე როდრიგესი
| 22.00 | 167 | ბადახოსი-უელვა | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 22.00 | 168 | სერესი-სპორტინგი | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 23.30 | 169 | კორდობა-ლეგანესი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 00.30 | 170 | მურსია-ეიბარი | 2,1 | 2,8 | 3,5 |

**პორტუგალია. I ლიგა. III ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 171 | ბენფიკა-სეტუბალი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 172 | ბენფიკა-სეტუბალი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 22.00 | 173 | სპორტინგი-ალვერკა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 174 | სპორტინგი-ალვერკა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 02.00 | 175 | სანტა კლარა-ჟილ ვისენტე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 176 | ვარზიმი-ბეირა მარი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 177 | ფერეირა-ლეირია | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 22.30 | 178 | ბრაგა-ფარენსე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 01.00 | 179 | ბოავიშტა-ბელენენსეში | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 180 | | ბოავიშტა-ბელენენსეში 0:1 | 1,95 | 3,1 | 2,4 |
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 23.15 | 181 | მარიტიმუ-პორტუ | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 01.00 | 182 | სალგეირუში-გიმარაეში | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**პორტუგალია. II. ლიგა. III ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 01.00 | 183 | აკადემიკა-ოლივეირენსე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 01.00 | 184 | შავეში-კამპომაიორენსე | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 185 | მარკუ-ნავალი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 186 | მორეირენსე-პენაფიელი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 187 | ნასიონალი-ოვარენსე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.00 | 188 | ავეში-პორტიმონენსე | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 189 | ლამაში-ლეცა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 190 | ესპინიუ-მაია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 22.00 | 191 | ამადორა-რიუ ავე | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. III ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 213 | ჰერენვენი-ბრედა | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 214 | ტილბურგი-პსვ | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| 22.30 | 215 | ტვენტე-როდა | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.30 | 216 | გრააფსხაპი-ნაიმეგენი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 23.00 | 217 | ვიტესი-უტრეხტი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 218 | ალკმაარი-სპარტა | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 16.00 | 219 | ფეინოორდი-აიაქსი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 17.30 | 220 | ვალვაიკი-გრონინგენი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 17.30 | 221 | დენ ბოსხი-სიტარდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. II ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 222 | ოსი-მაასტრიხტი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 23.00 | 223 | დენ ჰააგი-იგლსი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 224 | როზენდალი-ვენლო | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 225 | როზენდალი-ვენლო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 226 | ვეენდამი-ვოლენდამი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 227 | ჰელმონდი-კამბური | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 228 | ზვოლე-ტელსტარი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 17.30 | 229 | ჰაარლემი-დორდრეხტი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**ბელგია. I დივიზიონი. III ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 230 | შარლერუა-სტ.ტრუიდენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 231 | ლიერსი-ანტვერპენი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 232 | გენტი-ვესტერლო | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.00 | 233 | ლომელი-მუსკრონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 234 | გენკი-ლუვიე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 235 | გენკი-ლუვიე 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 18.00 | 236 | ბრიუგე-ბევერენი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 237 | ბრიუგე-ბევერენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.00 | 238 | აალსტი-ლოკერენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 239 | სტანდარდი-მოლენბეკი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 240 | სტანდარდი-მოლენბეკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 241 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 3,4 | 3,2 | 1,95 |

**ჩეხეთი. V ტური.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 17.15 | 257 | ტეპლიცე-სლავია | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 21.30 | 258 | სპარტა-პრჟიბრამი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 259 | სპარტა-პრჟიბრამი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 260 | ბანიკი-ჰ.კრალოვე | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 261 | ბანიკი-ჰ.კრალოვე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.30 | 262 | ბოჰემიანსი-დრნოვიცე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 263 | სინოტი-ჟიჟკოვი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 264 | ბლშანი-სიგმა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.30 | 265 | ლიბერეცი-ოპავა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 266 | ლიბერეცი-ოპავა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 22.00 | 267 | ბრნო-იაბლონეცი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **პოლონეთი. VI ტური. A ჯგუფი.** | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 268 | ოსტროვეცი-ვიძევი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 269 | გურნიკი-კატოვიცე | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 270 | ვისლა-ზაგლებე | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 271 | პოლონია-ოდრა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | **პოლონეთი. VI ტური. B ჯგუფი.** | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 272 | რუხი-შლიონსკი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.00 | 273 | რადომსკო-ამიცა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 274 | სტომილი-ლეგია | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 20.30 | 275 | პოგონი-გროცლინი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **თურქეთი. III ტური.** | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 276 | ტრაბზონი-ბურსა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 277 | ტრაბზონი-ბურსა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 278 | გიოზთეფე-სამსუნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 279 | ბეშიქთაში-დიარბაქირი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 280 | ბეშიქთაში-დიარბაქირი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 21.00 | 281 | გენჩლერბირლიგი-ისთანბული | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 21.00 | 282 | ანთალია-იოზგათი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 283 | გაზიანთეფი-დენიზლი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 284 | ქოჯაელი-მალათია | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 285 | ფენერბაჰჩე-ანკარაგიუჯიუ | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 286 | რიზე-გალათასარაი | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. V ტური** | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 287 | დანფერმლაინი-ჰართსი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 288 | მოზერუელი-ლივინგსტონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 289 | რეინჯერსი-დანდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 290 | რეინჯერსი-დანდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 291 | სტ.ჯონსტონი-აბერდინი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 21.35 | 292 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 293 | დანდი იუნ.-კილმარნოკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. IV ტური.** | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 294 | არბროთი-პარტიკი | 3,0 | 3,3 | 2,1 |
| 19.00 | 295 | ეარი-რეითი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 19.00 | 296 | ფოლკირკი-კლაიდი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 297 | როსი-ერდრი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 298 | სტ.მირენი-ინვერნესი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. IV ტური.** | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 299 | კოუდენბითი-ალოა | 2,8 | 3,3 | 2,2 |
| 19.00 | 300 | ჰამილტონი-ფორფარი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 301 | მორტონი-სტრანრარი | 2,2 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 302 | ქუინი-კლაიდბენკი | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| 19.00 | 303 | სტენჰაუზმური-ბერიკი | 2,2 | 3,3 | 2,8 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. IV ტური.** | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 304 | ბრეჩინი-ალბიონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 305 | დამბარტონი-მონტროუზი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 306 | ისტ ფაიფი-პიტერჰედი | 2,2 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 307 | ელგინი-სტირლინგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 308 | ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| | | **ავსტრია. IX ტური** | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 20.15 | 309 | აუსტრია-ბრეგენცი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 310 | აუსტრია-ბრეგენცი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 22.30 | 311 | შტურმი-რიდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 312 | შტურმი-რიდი 0:1 | 1,95 | 3,3 | 2,4 |
| 22.30 | 313 | ტიროლი-კერნტენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 314 | ტიროლი-კერნტენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 315 | ზალცბურგი-გრაცერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 316 | ადმირა-რაპიდი | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. IX ტური.** | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 20.15 | 330 | ციურიხი-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 331 | ბაზელი-ლუგანო | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 22.30 | 332 | ლოზანა-ლუცერნი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 22.30 | 333 | ქსამაქსი-აარაუ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 334 | სერვეტი-იანგ ბოისი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 19.15 | 335 | სტ. გალენი-სიონი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. X ტური.** | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 336 | ბადენი-კონკორდია | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.30 | 337 | ვინტერთური-ივერდონი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 22.30 | 338 | ბელინცონა-ლოკარნო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.30 | 339 | კრინსი-ვილი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.30 | 340 | თუნი-კარუჟი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 19.15 | 341 | ვადუცი-დელემონი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **დანია. VI ტური.** | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 342 | ესბიერგი-ბრონდბიუ | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 18.00 | 343 | აკადემისკი-ორჰუსი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 18.00 | 344 | ლიუნგბიუ-ვიბორგი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 18.00 | 345 | ოდენსე-მიდტიულანდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 18.00 | 346 | ვაილე-ოლბორგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 20.05 | 347 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 3,2 | 3,3 | 2,0 |
| | | **რუსეთი. XXIII ტური.** | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 16.00 | 348 | ცსკა-ზილ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 16.00 | 349 | როსტსელმაში-სატურნი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 350 | როტორი-ფაკელი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 16.00 | 351 | სპარტაკი-დინამო | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 16.00 | 352 | ჩერნომორეცი-კრილია | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 16.00 | 353 | სოკოლი-ტორპედო | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 16.00 | 354 | ზენიტი-ალანია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 16.00 | 355 | ლოკომოტივი-ანჟი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | **შვედეთი. XIX ტური.** | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 369 | ჰეკენი-ელფსბორგი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.00 | 370 | ჰალმსტადი-სუნდსვალი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 371 | ჰალმსტადი-სუნდსვალი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 20.00 | 372 | ნორჩიოპინგი-მალმიო | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 373 | იურგორდენი-იორებრო | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 22.00 | 374 | ჰელსინგბორგი-იორგრიტე | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.00 | 375 | გიოტებორგი-ჰამარბი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.00 | 376 | ტრელებორგი-აიკ | 3,2 | 3,3 | 2,0 |
| | | **ნორვეგია. XX ტური.** | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 377 | ტრომსიო-ბოდიო გლიმტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 378 | ბრინი-მოსი | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 18.00 | 379 | ლილესტრიომი-სტაბეკი | 1,8 | 3,4 | 3,5 |
| 18.00 | 380 | ლინი-ბრანი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 18.00 | 381 | ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 18.00 | 382 | სოგნდალი-მოლდე | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 18.00 | 383 | სტრიომსგოდს.-რუსენბორგი | 5,3 | 3,8 | 1,45 |
| | | **ფინეთი. XXVII ტური.** | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 395 | ჯაზი-ინტერი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 18.00 | 396 | იოკერიტი-ატლანტისი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.30 | 397 | კუოპიო-როვანიემი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 20.30 | 398 | ვაასა-მიუპა | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 399 | ჰიკ-ტამპერე | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 20.30 | 400 | ლაჰტი-ჰაკა | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| | | **გერმანია. თასი. I ეტაპი.** | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 401 | ერფურტი-ალენი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 21.00 | 402 | შტუტგარტი(მ)-ფიურტი | 4,4 | 3,3 | 1,7 |
| 22.00 | 403 | მანჰაიმი-ჰანოვერი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 22.30 | 404 | იესილიურტი-ფრაიბურგი | 14,0 | 7,0 | 1,05 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 18.30 | 405 | ბაბელსბერგი-ჰერტა | 5,3 | 3,5 | 1,55 |
| 18.30 | 406 | ჰომბურგი-ჰამბურგი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 18.30 | 407 | ზტ.პაული(მ)-აინტრახტი | 8,0 | 4,4 | 1,2 |
| 18.30 | 408 | ურდინგენი-კოტბუსი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 18.30 | 409 | ვიურცბურგი-მიუნხენი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 18.30 | 410 | აალენი-ობერჰაუზენი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 18.30 | 411 | აუე-მაინცი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 18.30 | 412 | ბრიული-კაიზერსლაუტერნი | 14,0 | 7,0 | 1,05 |
| 18.30 | 413 | ოსნაბრიუკი-ჰანზა | 5,6 | 3,6 | 1,5 |
| 18.30 | 414 | ლიუბეკი-ვერდერი | 5,6 | 3,6 | 1,45 |
| 18.30 | 415 | ტრირი-ალემანია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 416 | კიკერსი-უნტერჰახინგი | 2,9 | 3,2 | 2,2 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 417 | კარლსრუე-ვალდჰოფი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 18.30 | 418 | ვოლფსფურგი(მ.)-დორტმუნდი | 14,0 | 7,0 | 1,05 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 17.30 | 419 | დარმშტადი-ზტ. პაული | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| 18.00 | 420 | ვერდერი(მ)-ზაარბრიუკენი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 18.00 | 421 | კოტბუსი(მ.)-არმინია | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| 18.00 | 422 | შიუტორფი-როიტლინგენი | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| 18.00 | 423 | შალკე(მ.)-ბოხუმი | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| 18.30 | 424 | რეგენსბურგი-ლევერკუზენი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 18.30 | 425 | შონბერგი-შტუტგარტი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 18.30 | 426 | ქემნიცი-კიოლნი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 20.00 | 427 | მაინცი(მ.)-მიონხენგლადბახი | 14,0 | 7,0 | 1,05 |
| 20.00 | 428 | ფრაიბურგი(მ.)-შალკე | 14,0 | 7,0 | 1,05 |
| 20.00 | 429 | მაგდებურგი-ვოლფსბურგი | 5,5 | 3,6 | 1,5 |
| 20.00 | 430 | უნიონი-დუისბურგი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 20.00 | 431 | ულმი-ნიურნბერგი | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 23.30 | 432 | პადერბორნი-ბაიერნი | 14,0 | 7,0 | 1,05 |
| | | **ევროპის სუპერთასი (მონაკოში)** | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 501 | ბაიერნი-ლივერპული | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**ტურში გატანილი გოლები**

| | | | |
|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | |
| 19.00 | 701 | ინგლისი (მე-3) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| | | **25 აგვისტო** | |
| 20.15 | 702 | საფრანგეთი (მე-5) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| | | **25 აგვისტო** | |
| 23.30 | 703 | იტალია (1-ლი) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| | | **25 აგვისტო** | |
| 00.30 | 704 | ესპანეთი (1-ლი) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| | | **25 აგვისტო** | |
| 21.00 | 705 | პორტუგალია (მე-3) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| | | **24 აგვისტო** | |
| 23.00 | 706 | ჰოლანდია (მე-3) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| | | **25 აგვისტო** | |
| 23.00 | 707 | ბელგია (მე-3) | 26 და ნაკლები – 1,9; 28 და მეტი – 1,9 |
| | | **25 აგვისტო** | |
| 17.15 | 708 | ჩეხეთი (მე-5) | 19 და ნაკლები – 1,9; 21 და მეტი – 1,9 |
| | | **25 აგვისტო** | |
| 19.00 | 709 | პოლონეთი (მე-6) | 19 და ნაკლები – 1,9; 21 და მეტი – 1,9 |
| | | **24 აგვისტო** | |
| 22.00 | 710 | თურქეთი (მე-3) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| | | **24 აგვისტო** | |
| 16.00 | 711 | რუსეთი (23-ე) | 18 და ნაკლები – 1,9; 20 და მეტი – 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## შპს „კროკოს" ადმინისტრაცია

# გაფრთხილებთ!

ფოთში, მისამართზე რჯალი 5, მუშაობს თვითმარქვია ტოტალიზატორი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შპს „კროკოსთან". შესაბამისად, შპს „კროკო" აღნიშნული თვითმარქვია ტოტალიზატორის მუშაობაზე არანაირ პასუხისმგებლობას არ კისრულობს და შესაძლო პრეტენზიებს არ განიხილავს.

**ფოთში დღესდღეობით „კროკოს" ბიურო არ არსებობს.**

არალეგალური საქმიანობა ისჯება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. შპს „კროკოს" ადმინისტრაცია კომპეტენტურ ორგანოებს შესაბამისი რეაგირებისთვის მიმართავს.

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113,
ფიროსმანის ქუჩა №7
ქობულეთში — აღმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39
გურჯაანში — დავით გურამიშვილის ქუჩა №28

1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათია. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი,

# ზვიგენს ჭიჭყინა შემოეჭყლიტა



პიტ სამპრასი დროს არ ნებდება

**ნიუ იორკი. „ჰამლეტის თასი“
ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $**

ულევი მელანი დაგვიხარჯავს პიტ სამპრასზე წერისას და კიდევ ვაგრძელებთ, რადგან დიდი სლემის 13 ტურნირის მომგებზე თუ არ ვთქვით, მაშ, ვისზე? ამიტომ გაგახსენებთ, რომ წლეულს „პისტოლ-პიტი“ კრიზისშია და „პისტოლიც“ ველარაა ძველებურად, დიდ სლემზე ვერც ერთგან გაიმარჯვა და ზოგადად, ბოლო 15 ტურნირი ვერ მოიგო. ვითომ ის დროა, ვეტერანობისკენ მოქცეულმა ამერიკელმა ჩოგანი განზე გადადოს, მაგრამ ჩოგბურთს ვერ ელევა და ვაჟკაცურად ჩაერთო „ჰამლეტის თასის“ გათამაშებაში, რომელიც ნიუ იორკში მიმდინარეობს. მეორე წრეში სამპრასს გაუმართლა, რადგან კლასიფიკაციით 203-ე ავსტრიელს, ალექსანდრ პეიას შეხვდა. სამპრასმა შანსი არ დაკარგა 6:3, 6:3. მატჩი საათზე ნაკლებს გაგრძელდა და ახლა ამერიკელი მეოთხედფინალშია, სადაც ესპანელ ფელიქს მანტიასთან სავარაუდოდ მძიმე ბრძოლას გადაიხდის.

მანტია რეიტინგული მაჩვენებლით ვერ დაიკვეხნის, რადგან 69-ე პოზიცია უკავია, მაგრამ იყო დრო, როცა ესპანელი საუკეთესო ათეულს აბოლოვებდა (3 წლის წინ) და მთავარი კი ის გახლავთ, რომ ნიუ იორკში მეტად მძლავრად თამაშობს. პირველი წრიდან ესპანელმა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი, იგივე უიმბლდონის გამარჯვებული გორან ივანიშევიჩი ორ სეტში გააგდო, მერე კი, პირველი სეტის წაგებისთანავე, მომდევნოებში ბდღვირი ადინა არგენტინელ გილერმო კანასს. მანტია სამპრასს დიდად აფასებს.

„საინტერესო თამაშს გავმართავთ — ამბობს ესპანელი — სამპრასი უდიდესი თუ არა, ერთ-ერთი უდიდესი ჩოგბურთელი მაინც არის და ეჭვი არ მეპარება, მაყურებელი საზოგადოება მთლიანად მის მხარეს იქნება. მე შეიძლება მარტო გელფრენდის, მწვრთნელისა და ორიოდ მეგობრის იმედი მქონდეს, მაგრამ ფარ-ხმალს არ დავყრი, რადგან ჩოგბურთი მიყვარს და მინდა, მაქსიმალურად დავიხარჯო“.

მანტიამ კარიერის მწვერვალზე ყოფნისას მხრის მძიმე ტრავმა მიიღო, ოპერაციაც გაიკეთა გასული წლის მიწურულს, ახლა კი მობრუნებას ცდილობს, ჯერ წარმატებით...

**მეორე წრე: პიტ სამპრასი (აშშ, 3) — ალექსანდრ პეია (ავსტრია) 6:3, 6:2; ფელიქს მანტია (ესპანეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 5:7, 6:3, 6:2; იონას ბორკმანი (შვედეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 7:5 (ტრავმა); ტომი ჰაასი (გერმანია, 6) — ტომი რობრედო 7:6 (7:3), 3:6, 6:2**

**ნიუ ჰეივენი, აშშ
„პილოტ პენ ტენისი“
ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $**

შოკისმაგვარი დაემართათ მაყურებლებს ნიუ ჰეივენის „პილოტ პენ ტენისზე“, როცა ჯენიფერ კაპრიატიმ ანკე ჰუბერთან პირველი ხელი 0:6 (!) წააგო. სეზონის საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი კორტზე ისე დაბნეულად დადიოდა, სამი დღის უძილო ეგონებოდა ადამიანს, თუმცა მატჩის შემდეგ ეს კი არ აღიარა, არამედ მეტოქე შეაქო, ის სეტი მე კი არ წავაგე, მან მოიგოო.

„პირველი სეტის ბოლოს მარტო ის აზრი მტანჯავდა, რომ ამ საშინელებას უცებ არ ელებოდა ბოლო და მეორე ხელიც უნდა მეთამაშა — გამოტყდა კაპრიატი — მაგრამ მაინც მგონია, რომ იმდენად ცუდად არ მითამაშია, რამდენადაც მეტოქემ კარგად. მეორე სეტში მაინც ბრძოლა გადავწყვიტე“.

მართლაც სურათი მალე შეიცვალა, მაგრამ არც იმდენად. მეორე სეტის 3:3-ზე ჰუბერს ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ამერიკელმა თავი იხსნა, სამაგიეროდ, უკვე მომდევნო მოწოდება აართვა მეტოქეს.

მესამე სეტში კაპრიატი 1:0 დაწინაურდა და მაშინვე აურია. საბედნიეროდ, გადამწყვეტ წამებში ამერიკელმა ზედიზედ გადაარჩინა ბრეიკ პოინტები და 4:1 დაწინაურდა. ამხელა ფორა კი შემდეგ მართლა აღარ გაფლანგა. საბოლოოდ 0:6, 6:3, 6:2 იმ ამაღელვებელ თამაშში, სადაც კაპრიატიმ 8 ეისი მოაწოდა და 13 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

შემდეგ მეოთხედფინალური მატჩი ითამაშა ძალისმიერი ჩოგბურთის ორმა მიმდევარმა. ერთ მხარეს ჩოგანს მძიმე ლინდსი დევენპორტი იქნევდა, იქით — ლესბოსელი ამელი მორესმო, რომლის მძლავრი ფორჰენდი უწინდელივით კარგად მუშაობდა, მაგრამ დევენპორტი იმ დღეს სჯობდა. ორივე სეტში ამერიკელმა ფრანგს თითო მოწოდება აართვა, პირველში 3:3 რომ იყო და მეორეში — 2:1, თავად კი არაფერი გასცა და 6:4, 6:4 მოიგო.

„ძალიან ესთეტიკურად ვითამაშე — თქვა უწყინარი სახის ლინდსიმ — განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის მგონია, რომ „ამერიკის ღია პირველობის“ წინ რიგიან ფორმაში ვარ. მართალია, მორესმოს სულ თითო-თითო მოწოდებები ავართვი, მაგრამ მთელი თამაში ჩემ ხელში იყო, მართვა წუთითაც არ დამიკარგავს“.

ფრანგთა საჩოგბურთე ღირსება შეინახა ნატალი ტოზიამ, რომელიც ნიუ ჰეივენში მე-7 ნომრადაა განთესილი. ტოზიას ჩეხ კვეტა ჰრდლიკოვასთან მხოლოდ მეორე სეტში გაუჭირდა, ხოლო იუგოსლაველ ელენა დოკიჩს (უწესო მამა რომ ჰყავს) მასპინძელ ლაიზა რეიმონდთან საერთოდ არ ჰქონია პრობლემები — პირველი სეტი დამაჯერებლად მოუგო, მეორეში — გაანადგურა.

**მეორე წრე: ჟიუსტინ ენენი (ბელგია, 5) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:3, 6:2; ნატალი ტოზია (საფრანგეთი, 7) — კვეტა ჰრდლიკოვა (ჩეხეთი) 6:1, 7:6 (7:2); ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 2) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 0:6, 6:3, 6:2; ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:3, 6:0**

**მეოთხედფინალი: ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) — ამელი მორესმო (საფრანგეთი, 6) 6:4, 6:4**

**დავით გულუა**



ლინდსი დევენპორტი კარგ ფორმაშია



# უნივერსალი მაესტროს იუბილე

**მიხაილ ბოტვინიკი** 90 წლის წინ დაიბადა. ერთხელ მას ასე უთქვამს, მე დაბადებით ებრაელი ვარ, აღზრდით რუსი და აზროვნებით საბჭოთაო. არც ერთ ამ ფაქტში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, რადგან გვარს რომ შევეშვათ, ბოტვინიკის მამას მოსე ერქვა და კომუნისტებს კი მიხაილ მოსეს ძეზე საყვარელი და საჩინო კაცი თითებზე ჩამოსათვლელი ჰყავდათ. პათეტიკურად თუ ვიტყვით, ბოტვინკი კომუნიზმის ალალი ბრილიანტთაგანი იყო, რადგან მთელი თავის საქმეებით უზარმაზარი სარგებლობა მოჰქონდა სისტემისთვის. საქმეები კი უთვლელი იყო და ყოველ მათგანში ბოტვინიკი კეთილსინდისიერად ბოლომდე იხარჯებოდა. მისი სადოქტორო დისერტაცია გვარიან მეცნიერულ ღირებულებებს შეიცავს ელექტროტექნიკის განხრით, ბოტვინიკმა უხელმძღვანელა საბჭოთა კავშირში კომპიუტერული ჭადრაკის დამკვიდრებას და კასპაროვიც ხომ მის განთქმულ საჭადრაკო სკოლაში გაიზარდა, საიდან გამოსულებიც მსოფლიოს ჭადრაკს თავის ნებაზე ატრიალებდნენ. და, ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, რომელსაც ბოტვინიკი შესვენებებით 15 წლის მანძილზე ატარებდა. ჭადრაკის თამაშს იგი საკმაოდ გვიან, 12 წლის ასაკში შეუდგა და ამბობენ, რომ გვირგვინისკენ მისი სვლა 1925 წელს ერთდროული თამაშის სეანსში დაიწყო, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონი, ხოსე რაულ კაპაბლანკა ატარებდა. ბოტვინიკმა მას მოუგო.



მიხაილ ბოტვინიკი

არ იქნება ძნელი, დავასახელოთ ხასიათის ის თვისებები, რომლებითაც ბოტვინიკი სხვა ჩემპიონებს სჯობდა: ფუნდამენტურობა და მობილიზების არაჩვეულებრივი უნარი. მან ორჯერ დაკარგა ტიტული და ორჯერვე მატჩ-რევანშით დაიბრუნა. თამამად ამბობენ, რომ ბოტვინიკი პეტროსიანსაც მოერეოდა, მატჩ-რევანში რომ არ გაეუქმებინათ. ტულის დაკარგვის მიუხედავად, ბოტვინიკი უდიდეს მოჭადრაკედ დარჩა და კარგა ხნის შემდეგ თითქმის 60 წლისამ „საუკუნის მატჩში“ ითამაშა საბჭოთა და მსოფლიოს ნაკრებებს შორის. მაშინ მან ორჯერ უმცროს მეტოქეს მოუგო.

ბოტვინიკის კაპიტალური საჭადრაკო ნაშრომები დღესაც დაუფასებელია, კომპიუტერების მასობრივი მოძალების მიუხედავად, მათზე თაობები გაიზარდა. ბოტვინიკის ტვინში ერთად ვერ თავსდებოდა სიტყვები — „ჭადრაკი“ და „კომერცია“, აკი ამიტომაც მოემდურა კასპაროვს, ვინც ერთ დროს მისი საყვარელი მოწაფე იყო. საბჭოთა კავშირის დაშლა ბოტვინიკისთვის ტრაგედია გახლდათ და ეს გენიოსი სისტემის კვალდაკვალ შევიდა ისტორიაში. მიხეილ ბოტვინიკი 1995 წელს, 84 წლისა ალესრულა.

**დავით გულუა**






# სოტომაიორი წასვლაზე ალაპარაკდა

**კუბელთა** სათაყვანებელ სპორტსმენს, ოლიმპიურ ჩემპიონს სიმაღლეზე ხტომაში ხავიერ სოტომაიორს სპორტიდან წასვლა განუზრახავს. მეყოფა, რაც ვიხტუნავეო.

„როგორც ეტყობა, მომავალი წელი ბოლო იქნება ჩემს სპორტულ კარიერაში“ — სალონიკში მიმდინარე მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე ბრინჯაოს მედლის მოპოვების შემდეგ განაცხადა სოტომაიორმა.

33 წლის კუბელს არაერთი ტიტული მოუპოვებია. გარდა იმისა, რომ ღია და ჭერქვეშა ჩემპიონატებზე მსოფლიოს რეკორდები დაუმყარებია, სიდნეის და ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ვიცე-ჩემპიონი გამხდარა. მანამდე კი უმაღლეს ჯილდოს ბარსელონის ოლიმპიადაზე დაეუფლა.



# პატარა ჩემპიონის სიკვდილი

**რუმინულ** სატანვარჯიშო სკოლას არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღუზრდია. რუმინეთის ეროვნულ ჩემპიონატში წარმატება ხომ დიდ სარბიელზე წარმატების საწინდარია.

ალექსანდრა ჰუჩი, რომელიც სამშობლოში ერთობ პერსპექტიულ და ნიჭიერ ტანმოვარჯიშედ ითვლებოდა, ამ ორიოდე დღის წინ 12 წლისა გარდაიცვალა.

ტრანსილვანიურ დევაში ერთ-ერთი ვარჯიშისას ჰუჩი თავის ტკივილმა შეაწუხა. ექიმებმა მაშინვე გასინჯეს, რის შემდეგაც საჭიროდ ჩათვალეს, სასწრაფოდ ადგილობრივ საავადმყოფოში წაეყვანათ. იქ მიყვანისთანავე იგი კომაში ჩავარდა. როგორც მისი ექიმი აცხადებს, ალექსანდრას ტვინში სისხლი გაეჟონა. მოგვიანებით ალექსანდრა ტიმიშოარას ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ქირურგიული ჩარევის შედეგად ტვინი ჩაქცეული სისხლისგან გაუთავისუფლეს. მიუხედავად ამისა, მას მდგომარეობა უფრო გაურთულდა, რის გამოც სასიცოცხლო აპარატზე ჩართეს, ხუთი დღის შემდეგ კი... ალექსანდრამ ვარჯიში ექვსი წლიდან დაიწყო. შარშან კი თავის ტოლებში ეროვნული ჩემპიონატიც მოიგო. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ჰუჩის ყველანაირი მონაცემი ჰქონდა საიმისოდ, რომ დიდ სარბიელზეც ესახელებინა თავი.

**გიგა გურასპიშვილი**

# ყოფილი მტრის ბანაკში



„ტური 2001“-ის პირველ ყვითელმაისურიანს, კრისტოფ მოროს ჟურნალისტების ყურადღება არ აკლდა

**ფრანგმა** მრბოლმა კრისტოფ მორომ, რომელსაც წლის ბოლოს „ფესტინასთან“ კონტრაქტი უმთავრდება, ორი წლით „კრედი აგრიკოლს“ დაუკავშირა თავისი ბედი. ფრანგულ გუნდში, რომელსაც როჟე ლეჟეი თავკაცობს, მორო თავის თანაგუნდელ და ინდივიდუალურ რბოლაში საფრანგეთის ჩემპიონ ფლორან ბრართან ერთად გადადის. მათ გარდა სხვა ფესტინელებიც ეძებენ ახალ სამუშაოს, რადგან საათის მწარმოებელმა ფირმამ დეკემბრიდან ველოსპორტიდან წასვლა გადაწყვიტა.

30 წლის მორო „კრედი აგრიკოლის“ ლიდერი გახდება და მომდევნო ორ წელიწადში მთავარ ამოცანად „ტურ დე ფრანსის“ მოგება ექნება დასახული. წლეულს იგი „ტურზე“ საკმაოდ კარგად გამოვიდა, პროლოგი მოიგო, ყვითელი მაისურაც ემოსა და ეგებ პოდიუმზეც ასულიყო, რომ არა მუცლის გვრემა, რის გამოც ერთ-ერთი ეტაპისას შეჯიბრის მიტოვებამ მოუწია.

„გუნდის განახლება-გაძლიერებაზე ვფიქრობთ. რამდენიმე ძნელი წელიწადი გადავიტანეთ, ძირითადად უცხოელი მრბოლების ხარჯზე. „ტურზე“ საკმაოდ კარგად გამოვედით, იენს ვოიგტმა ორი ეტაპი მოიგო, გუნდურ რბოლაში ვიმარჯვეთ, სტიუარტ ოგრედის ყვითელი მაისურა საკმაო ხანს ეცვა. ჩემი აზრით, მხოლოდ ძლიერი ფრანგები გვაკლდნენ. კრისტოფ მოროს და ლორან ბრარის სახით, რომლებსაც ცალ-ცალკე დავუკავშირდით, საწადელი ავისრულეთ. მგონი, „ტურის“ პოტენციური ჩემპიონი ვიპოვეთ. დიდი იმედი მაქვს, რომ გაისიდან საუკეთესო ფრანგული გუნდი გავხდებით“ — განაცხადა „კრედი აგრიკოლის“ სპორტულმა დირექტორმა როჟე ლეჟეიმ.

ბრარი ახალ კონტრაქტს ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში დათანხმდა, მოროსთან მოლაპარაკება კი ლეჟეის უფრო გაუგრძელდა. ბელფორელ მრბოლს თავისკენ ექაჩებოდა გერმანული „კოასტიც“, რომლის სპორტულ დირექტორადაც „ფესტინადან“ ესპანელი ხუან ფერნანდესი გადავიდა. თუმცა მორომ საბოლოოდ მაინც საფრანგეთი არჩია და „ფესტინას“ გახმაურებული დოპინგ-სკანდალის დროს ამ გუნდის და მისი ერთ-ერთი თავკაცის ბრუნო რუსელის ლამის ყველაზე დაუცხრომელ მტერ ლეჟეის შეეკედლა.

„იმ საქმიდან თითქმის ოთხი წელი გავიდა და მოროსთან საუბარში მას აღარც შევხებივართ. კრისტოფმა სასჯელი სრულად მოიხადა და ეს საკმარისია. მას წლევანდელი „ტურის“ დროს დავუკავშირდი, როცა „ფესტინას“ დაშლის შესახებ გავიგე. „კრედი აგრიკოლში“ ძალიან ძლიერი მრბოლები გვყავს, რომლებიც ლიდერს დიდად დაეხმარებიან და, იმედი მაქვს, მორო აქ წარმატებებსაც მიაღწევს“ — განაცხადა ლეჟეიმ.

# მერქსის კინაღამემკვიდრე ბრუნდება

**ფრანკ ვანდენბრუკმა** სამთვიანი დუმილი დაარღვია და ველოსაზოგადოებას ისევ შეახსენა თავი. ბელგიელმა მრბოლმა პატარა პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც დაადასტურა, რომ ამ სეზონში აღარ ირბოლებდა და საერთოდ „ლამპრესაც“ დატოვებდა. თუმცა ლიეჟ-ბასტონი-ლიეჟის ყოფილმა გამარჯვებულმა თავისი კარიერის დასრულების შესახებ ჭორები კი გააქარწყლა.

ჩანს, ვანდენბრუკმა საბოლოოდ დაამარცხა დეპრესია და ნევროზი, რომლებმაც ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი და პერსპექტიული ბელგიელი (მას ედი მერქსის მემკვიდრედაც მოიხსენიებდნენ ორიოდ წლის წინ) მწვრთნელთა ნაცვლად ექიმებს ჩაუგდეს ხელში.



ფრანკ ვანდენბრუკი ჯერჯერობით მხოლოდ დარბაზში ვარჯიშობს

„ახლა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ და ცხოვრებას ნეგატიურად აღარ ვუყურებ. ძალიან ვნანობ ორ დაკარგულ წელიწადს, მაგრამ ყველაფრის თავიდან დაწყების სურვილიც მკლავს. რბოლებს უფრო გაძლიერებული დავუბრუნდები, ოღონდ გაისამდე არა“ — განაცხადა ვანდენბრუკმა.

იგი ამჟამად უკვე დაუბრუნდა ველოს და ვარჯიშიც დაიწყო. მის მოსამზადებელ პერიოდს ლიევენ მესშალკი ხელმძღვანელობს, კინეთერაპევტი, რომელმაც მოტოციკლეტით დამტვრეული იოჰან მუსეუვი დააყენა შარშან ფეხზე.

ვანდენბრუკს შეჯიბრებებში წლევანდელი „ლუქსემბურგის ტურის“ მერე აღარ მიუღია მონაწილეობა. არადა, „ლამპრე“ მას საფრანგეთში წაყვანასაც უპირებდა, მაგრამ ბელგიელი ფსიქოლოგიურად ისე იყო გატეხილი, „სახლში რომ ჩაიკეტა“, ამ დრომდე სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ მოუცია.

# მცირედი ცვლილებები ველოელიტაში



ლენს არმსტრონგი, რა თქმა უნდა, პირველია

**ველოსპორტის** საერთაშორისო კავშირი ყოველთვიურად აქვეყნებს პროფესიონალ მრბოლთა რეიტინგს, რომელიც, ზოგის თქმით, ძალთა თანაფარდობას ერთობ არაობიექტურად ასახავს. თუმცა ის მაინც ოფიციალური რეიტინგია და ყურადღების ღირსიცაა. წინა თვეში „ტურ დე ფრანსის“ მომგებ ამერიკელ ლენს არმსტრონგს რეიტინგის სათავეში იტალიელი დავიდე რებელინი შეზიარებოდა, ახლა კი გამოეცალა. შტუტგარტში, მსოფლიო თასის ეტაპის მომგები ერიკ ზაბელი კი მეექვსედან მესამე ადგილამდე ალზევდა. გთავაზობთ მრბოლთა მოწინავე ათეულს, რომელიც გარკვეული ობიექტურობით მაინც ასახავს ძალთა თანაფარდობას.

| | |
|---|---|
| 1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) | 2154 ქულა |
| 2. დავიდე რებელინი (იტალია, ლიკიგასი) | 2150 |
| 3. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) | 1944 |
| 4. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) | 1900 |
| 5. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) | 1819 |
| 6. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ფასა ბორტოლო) | 1673 |
| 7. რაიმონდას რუმსასი (ლიტვა, ფასა ბორტოლო) | 1642 |
| 8. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, დომო) | 1637 |
| 9. მიკელე ბარტოლი (იტალია, მაპეი) | 1611 |
| 10 მიკაელ ბოგერტი (ჰოლანდია, რაბობანკი) | 1478 |



# კრივალოსანი

**მსოფლიოს** უდავო ჩემპიონმა, მძიმეწონოსანმა ჰასიმ რაჰმანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ჩვეულებრივი ბიჭია.

„მე ნორმალური ბიჭი ვარ და არ მგონია, რომ ტიტულებმა შემცვალა. თავს ძველებურად ვგრძნობ. უპირველეს ყოვლისა ადამიანი ვარ და მერე ჩემპიონი. ჩემპიონობის გამო სულაც არ ვფიქრობ, რომ ვინმეს რამეთი ვჯობივარ. ვისაც პატივს ვცემდი, დღესაც პატივს ვცემ“.

შემდეგ 27 წლის რაჰმანმა თქვა: „17 ნოემბერს ლას ვეგასში ლენოქს ლუისს ხელმეორედ უნდა შევხვდე. მწამს, ტიტულს შევინარჩუნებ. ლენოქსის მიმართ კი განსაკუთრებულს არაფერს ვგრძნობ, უბრალოდ, ცდება, თუ ფიქრობს, რომ ქამრებს წამართმევს“.

* * *

**მაიკ ტაისონისა** და ბრაიან ნილსენის ბრძოლა, რომელიც 8 სექტემბერს უნდა გამართულიყო, 13 ოქტომბრისთვის გადაიდო. მიზეზი: მსოფლიოს ყოფილი მძიმეწონოსანი ჩემპიონი ვარჯიშის დროს ზურგის სპაზმებმა დატანჯა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ნილსენის პრომოუტერმა, ბეტინა პალემ აღშფოთება კი არ გამოთქვა, პირიქით, დაადასტურა, რომ ტაისონი დაშავებულია.

მაგრამ, გადავადების მიუხედავად, ბრძოლა ძველად არჩეულ ადგილას, კოპენჰაგენში გაიმართება, რაც ნილსენისთვის უთუოდ დიდი სტიმულია — ის ხომ დანიელია და, შესაბამისად, საკუთარი ქომაგების წინაშე იასპარეზებს.

შეგახსენებთ, რომ ტაისონს გასული წლის 20 ოქტომბრის შემდეგ აღარ უჩხუბია. მაშინ იგი პოლონელ ანჯეი გოლოტას დაუპირისპირდა და სამ რაუნდში მოუთავა საქმე. სხვათა შორის, ის ბრძოლა, უფრო სწორად კი მისი შედეგი, მერე გააუქმეს — ტაისონმა დოპინგ ტესტი ვერ გაიარა.

მას მერე, როგორც გითხარით, „რკინის მაიკი“ რინგზე აღარ ასულა, დანიელი მოკრივე კი პირიქით, აქტიური იყო და ოთხი ბრძოლა გამართა. ამ ოთხი ბრძოლიდან ნილსენმა ოთხივე მოიგო — მათგან ორი ნოკაუტით და, რაც ყველაზე საინტერესოა, შურისძიებაც გამოუვიდა: რიკი რაიანი ის ერთადერთია, ვინც მას პროფესიულ კარიერაში მარცხი აწვნევინა. კიდევ, ერთ-ერთი ამ ოთხიდან გახლდათ საჩემპიონო ბრძოლა. 12 რაუნდში ქულებით ორლინ ნორისის ძლევამ დანიელს არც მაინცდამაინც პრესტიჟული IBC-ს ქამარი მოუტანა.

ნილსენი ტაისონთან ჩხუბის გადადებით უკმაყოფილოა. ის ამერიკაში გახლდათ და ოთხი კვირის მანძილზე გამალებული ემზადებოდა. დღეს ამბობს:

„ახლა თავს ისე ვგრნობ, თითქოს ხელთათმანები მოვისროლე და კრივზე ყველაფერი დამავიწყდა. ძნელია, მოკრივეს ბრძოლას ცხვირწინ რომ გადაგიდებენ. ამით მოტივაცია მომიკლეს“.

* * *

**დავიდ ტუა,** მძიმეწონოსანი ახალზელანდიელი, წარმოშობით სამოელი, ამბიციური და გასული წლის ნოემბერში ლენოქს ლუისის მიერ დამარცხებული, წინა შაბათს, ლას ვეგასში კრის ბერდმაც სცემა. ახლა ამბობენ, თუ ჭკუა აქვს, უნდა მიხვდეს, რომ ასეთ დონეზე მხოლოდ მარცხენა ჰუკის იმედად არ უნდა იყოსო.

არადა, თითქოს დიდი ხანი არ არის მას მერე, რაც მას ახალგაზრდა მაიკ ტაისონს ადარებდნენ და ამბობდნენ, რომ მალე მსოფლიოს ახალი დიდი ვარსკვლავი მოევლინება. მაგრამ, გავიდა ხანი და ღონიერმა მემარცხენემ სპორტული ჟინი დაკარგა. ამას 1997 წლის ივნისში, აიკ იბეაბუჩისთან მის პირველ მარცხს უკავშირებენ. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ იბეაბუჩის გამარჯვება ფრიად საეჭვოდ მიანიჭეს. ყოველ შემთხვევაში, კამათი იმაზე, ეკუთვნოდა თუ არა, ნამდვილად შეიძლებოდა.

ახლა კი საქმე ასეა: სპეციალისტები ამბობენ, რომ თუ ტუა მსოფლიოს ჩემპიონობას აპირებს, აუცილებლად უნდა იმუშაოს ფიზიკურ ფორმაზე. მართალია, ბერდთან ბრძოლის წინ ბევრს მოეწონა, რომ ახალზელანდიელი მასზე სამი წლით უმცროსის წონისა გამოდგა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დაკლებამ დიდი მსხვერპლი მოითხოვა. ტუას მეოთხე რაუნდშივე დაეტყო დაღლა და გამარჯვებისთვის საჭირო რაოდენობის ღონიერი დარტყმების შესასრულებლად ერთობ ნელიც გახლდათ. ტაქტიკური თვალსაზრისით კი ეტყობოდა, რომ ძირითად იარაღად მარცხენა ჰუკი შეეგულებინა.

ახალზელანდიელის მენეჯერი, კევინ ბერი ბევრ რამეს ქათმის ფრთებს ანუ მოკრივის საყვარელ კერძს აბრალებს.

„მისი მაღა დიდი პრობლემაა“ — პოლინეზიელ ხალხს ძალიან უყვარს ჭამა და დავიდიც ხომ თავისი ერის შვილია, მისი კულტურის მატარებელი“ — ამბობდა ბერი გასული წლის ნოემბერში, ლუისთან დამარცხების შემდეგ. მენეჯერმა ღორმუცელის მოსათოკავად ახალი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრების კვების სპეციალისტიც კი დაუქირავა, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ამ სუქება-გახდომამ წარმოშვა ბევრი პრობლემა.

და ბოლოს, გავიხსენოთ რა თქვა მაშინ თავად ლუისმა: „როდესაც საომრად მიდიხარ, თან მთელი არსენალი უნდა წაიღო, მარტო მარცხენა ჰუკი და თმის ვარცხნილობა კი არ კმარა“.

**ტუტა სიხარულიძე**



დავიდ ტუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვამზობთ უნივერსიადას, ვგულისხმობთ ოლიმპიადას

პეკინში იმგვარი ზარ-ზეიმითა და ფერადოვანი შოუთი გაიხსნა მსოფლიოს 21-ე უნივერსიადა, თითქოს ამ ქალაქმა ყველას უთხრა: ეს რა არის, ნახეთ 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისას რაებს მოვახდენ — ფოიერვერკი ხომ ისედაც ჩინელების მოგონილია და იმ მილიარდნახევრიან ქვეყანაში ყველაზე პოპულარულმა მომღერალმა ა მეიმ ხომ საერთოდაც მთელს მსოფლიოს მიაწვდინა თავისი წკრიალა ხმა.





REUTERS პეკინიდან

## ერთ პლაჟზე

ზაფხულია და პლაჟის ფრენბურთის დრო. მთელი მსოფლიოს მზიან ზღვისპირებზე ბურთს უხათქუნებენ. ასევეა ჰონგკონგშიც, სადაც დიდი ტურნირი მიმდინარეობს, ეს მშვენიერი ჩამწოდებელი გოგო კი კანადელი მარი-ანდრე ლესარდია. მან და მისმა მეწყვილემ კი მასპინძლებს ორივე პარტია მოუგეს.



REUTERS ჰონგ კონგიდან



REUTERS კენდიდან

## ვარჯიში თოფქვეშ

ჯერ არ გახურებულა, მაგრამ მალე გახურდება მეორე ტესტის მეორე დღე ლანკელ და ინდოელ მოკრიკეტეებს შორის. ეს მეორე ტესტი შრი ლანკაში, კანდის „ასგირია სთედიუმზე" მიმდინარეობს. დილის მსუბუქ ვარჯიშებზე, ინდუსებმა რომ გამართეს, შუა მოედანზე თოფიანმა კაცმაც კი შემოაბიჯა: ემანდ, ოპოზიციის ტერორისტებმა „ტამილ ილამის განთავისუფლების ვეფხვთა" ჯგუფიდან ბომბი არ შემოაგდონ და სტუმრები არ დაგვიზიანონო.

## ბუკიტ ჯალილის მზადება

8 სექტემბერს, მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სპორტული თამაშები გაიხსნება. 5 ათასი აზიელი სპორტსმენი ნაირ-ნაირ სიჩაუქეში გაეჯიბრება ერთმანეთს. თამაშების მთავარი არენა „ბუკიტ ჯალილის" სპორტული კომპლექსია. გაცხარებული მზადებაც იქ მიმდინარეობს.




REUTERS კუალა ლუმპურიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარეჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge